



ალმასავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

კონფერენცია-ვორკშოპი: განათლება კათილდღიურისთვის

Conference Workshop:
EDUCATION FOR WELLBEING

კონფერენცია-ვორკშოპის
შრომების კრებული

Conference Workshop
Proceedings

თბილისი / Tbilisi 2024



კონფერენცია-ვორკშოპ:
„განათლება კეთილდღეობისთვის“
შრომების კრებული

CONFERENCE WORKSHOP:
EDUCATION FOR WELLBEING

Conference workshop Proceedings

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
East European University

თბილისი/Tbilisi
2024

The Collection encompasses the proceedings of the conference-workshop "Education For Wellbeing" held by the Faculty of Education Sciences of East European University on November 18, 2023, As part of World Science Day.

კრებულში წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის მიერ მსოფლიო მეცნიერების საერთაშორისო კვირეულის (UNESCO) ფარგლებში 2023 წლის 18 ნოემბერს გამართული კონფერენცია-ვორკშოპზე: „განათლება კეთილდღეობისთვის“ წარმოდგენილი ნაშრომები.

Editorial Board:

Editors: Prof. David Cherkezishvili, Prof. Kakhaber Lazarashvili;
Assoc. Prof. Ketevan Aptarashvili (Technical Editor)

სარედაქციო საბჭო:

რედაქტორები: პროფესორი დავით ჩერქეზიშვილი, პროფესორი კახაბერ ლაზარაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ასოცირებული პროფესორი ქეთევან აფთარაშვილი

Publisher: East European University in cooperation with Publishing House "Nekeri"

გამომცემელი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, გამომცემლობა „ნეკერ“-თან თანამშრომლობით.

Publication implies views of the authors, Commercial use of all media published by the East European University (EEU) is not permitted without the written consent of the university.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. დაუშვებელია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება უნივერსიტეტის თანხმობის გარეშე,

Hard Copy as well as soft copy will be available.

გამოიცემა ნაბეჭდი და ელექტრონული სახით.

©East European University, 2024

© აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, 2024

Publishing House "Nekeri", 2024

გამომცემლობა „ნეკერი“, 2024

ISBN 978-9941-501-79-1

შინაარსი / CONTENT

| | |
|--|----|
| რედაქტორების წინასიტყვაობა/Editors' Preface | 5 |
| კონფერენცია-ვორკშოპის შესახებ/ Conference worksop information | 8 |
| კონფერენცია-ვორკშოპის პროგრამა/Conference worksop Programme | 10 |
| ავტორთა შესახებ/Notes on Contributors | 12 |
| აპსტრაქტები/Paper Abstracts | 16 |
| | |
| ქეთევან აფთარაშვილი/Ketevan Aptarashvili | 16 |
| სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხი – პრობლემები და პერსპექტივები The Quality of Master's Theses – Problems and Perspectives | |
| | |
| ეკა ლუაშვილი, თინათინ გაბრიჩიძე/Eka Luashvili, Tinatin Gabrichidze | 25 |
| უმაღლესი განათლების დაფინანსება, როგორც სისტემის განვითარების ინსტრუმენტი (გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში) Funding Higher Education as a Tool for System Development (Challenges and Perspectives in Georgia) | |
| | |
| სერგო დურგლიშვილი/Sergo Durglishvili | 35 |
| საჯარო სკოლების ავტორიზაცია – გამოწვევები განათლების სისტემაში Authorization of public schools – challenges in the education system | |
| | |
| ნათია გეგელაშვილი/Natia Gegelashvili. | 38 |
| სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისთვის საჭირო პირობები Necessary for the implementation of student-centered teaching conditions | |

| | |
|---|----|
| გიორგი ჭანტურია/Giorgi Chanturia | 44 |
| სასკოლო კვება: მიზანი და პერსპექტივები School feeding: purpose and perspectives | |
| ნათა ნიაური, თეონა თარგამაძე, ხატია ცოცხალაშვილი, მარიამ დვალი, მაია გიგაური/ Natia Niauri, Teona Targamadze, Khatia Tsotskhalashvili, Mariam Dvali, Maia Gigauri | 52 |
| სპეციალური განათლების მასწავლებლის როლი სკოლაში, ძირითადი გამოწვევები და მისი გადაჭრის გზები The role of the special education teacher in the school, basic Challenges and solutions | |
| თინათინ ჩხიკვაძე/Tinatin Chkikvadze | 59 |
| სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პირადი ასისტენტის მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორები Factors Affecting the Motivation of a Personal Assistant for a Student with Special Educational Needs | |
| შალვა ტაბათაძე/Shalva Tabatadze | 65 |
| ბილინგური განათლების ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები, რა შემთხვევაში შეიძლება იყოს რეფორმა წარმატებული საქართველოში/ Factors Determining the Effectiveness of Bilingual Education: Under What Conditions Can the Reform Be Successful in Georgia? | |
| თეა ძოწენიძე/Tea Dzotsenidze | 66 |
| სკოლამდელი განათლების ალტერნატიული მოდელები ადრეულ ასაკში განათლების უფლების უზრუნველსაყოფად Alternative Models of Preschool Education to Ensure the Right to Education at an Early Age | |

რედაქტორების ნინასიტყვაობა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, როგორც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული და კვლევაზე ორიენტირებული ინსტიტუცია, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ინტენსიურად ახორციელებს. აღნიშნული საქმიანობის ნაწილი მოიცავს აკადემიური პერსონალის, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარების, ახალი ცოდნისა და მაღალი ხარისხის სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნისთვის წახალისებაზე ზრუნვას, ასევე მათი კვლევითი პოტენციალის განვითარების მხარდაჭერასა და საზოგადოების კეთილდღეობისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით მიღებული შედეგების გამოყენებას; შესაბამისად, კონფერენცია-ვორკშოპების მოწყობა ამ სტრატეგიის რეალიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია.

წინამდებარე კრებულში შესულია მოხსენებები, რომლებიც წარმოდგენილ იქნა მსოფლიო მეცნიერების საერთაშორისო კვირეულის (UNESCO) ფარგლებში გამართულ კონფერენცია-ვორკშოპზე: „განათლება კეთილდღეობისთვის“, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (EEU) განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის ორგანიზებით 2023 წლის 18 ნოემბერს ჩატარდა. აღნიშნული კონფერენცია-ვორკშოპი განათლების სფეროთი ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით წარიმართა. მასში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, კვლევითი ცენტრებისა და ასოციაციების წარმომადგენლები, განათლების ექსპერტები და დოკტორანტები. კონფერენცია-ვორკშოპში ოცდათხუთმეტი მონაწილიდან მოხსენება წარმომადგინა 15-მა, რომელთა ნაშრომებიც შესულია წინამდებარე კრებულში.

კონფერენცია-ვორკშოპზე აქცენტები გაკეთდა განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებსა და პერსპექტივებზე. კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები მოიცავს განათლების ხარისხის მართვის, სასკოლო კვების, სპეციალური განათლების, ბილინგვური განათლების რეფორმის, სკოლამდელი განათლების აღტერნატიული მოდელების, განათლების დაფინანსების, გა-

ნათლების უფლებისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების საკითხებს. კონფერენცია-ვორკშოპზე მუშაობა ახალი ცოდნის გენერირებისკენ მიმართული პროცესია, რომელიც ხელს შეუწყობს განათლების დარგის წინსვლას და პრობლემების გადაჭრის ახლებურ ხედვას შემოგვთავაზებს.

კრებულის სარედაქციო ჯგუფის სახელით მადლობას მოვახსენებთ კონფერენცია-ვორკშოპში ჩართულ მონაწილეებს და სამეცნიერო ნაშრომების ავტორებს შემდგომ შემოქმედებით მიღწევებს ვუსურვებთ.

კახაბერ ლაზარაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, რექტორი

დავით ჩერქეზიშვილი,

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი,

აკადემიური კოლეგიის თავმჯდომარე

EDITORS' PREFACE

The East European University's vision for scientific research activities is to be internationally recognized as an integrated and research-oriented institution within the European educational space. To achieve this, the university encourages academic staff, including young researchers, to create new knowledge and produce high-quality scientific publications. The university also supports the development of their research potential and ensures that the results of scientific research activities are utilized for the well-being of society.

The conference-workshop organized on November 18, 2023, within the framework of UNESCO's World Science Week, underscored the active involvement in educational, scientific, and innovative activities by participants from Georgia's Ministry of Education, Science, and Youth, the National Center for Educational Quality Enhancement, schools, various educational institutions, education experts, and doctoral students. Out of thirty-five participants, fifteen presented extended abstracts, whose papers are included in this collection.

The conference-workshop addressed existing challenges and prospects in education, including education quality management, school feeding, special education and bilingual education reform, alternative education models, educational rights and student-centered teaching, and the funding of education. This event paved the way for generating new knowledge and tackling current issues in education.

On behalf of the conference's editorial board, we express our gratitude to the authors of the scientific works and extend our appreciation to all participants involved in the conference-workshop

Dr. Kakhaber Lazarashvili

Professor, Rector of East European University

Dr. David Cherkezishvili

Professor, Chairman of Academic Committee
East European University

პოლიტიკური-ვორკშოპის შესახებ

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (EEU) განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის ორგანიზებით 2023 წლის 18 ნოემბერს, მსოფლიო მეცნიერების საერთაშორისო კვირეულის (UNESCO) ფარგლებში, გაიმართა კონფერენცია-ვორკშოპი: „განათლება კეთილდღეობისთვის“.

კონფერენცია-ვორკშოპის მიზანს წარმოადგენდა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების აქტუალურ საკითხებზე მიმდინარე კვლევების შედეგების განხილვა, იდეებისა და მიგნებების ურთიერთგაცვლა, პროდუქტიული დისკუსიების წარმართვა.

კონფერენცია-ვორკშოპს მოდერატორობას უწევდნენ პროფესორი დავით ჩერქეზიშვილი და პროფესორი კახაბერ ლაზარაშვილი. კონფერენცია-ვორკშოპში სპეციალური მოწვევით მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები: **მარიამ ჩიქობავა** (სკოლამდელიდა ზოგადიგანათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მ/შემსრულებელი), სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ ფარვანაძე.

კონფერენცია-ვორკშოპს ესწრებოდნენ სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, კვლევითი ცენტრებისა და ასოციაციების წარმომადგენლები, განათლების ექსპერტები და დოქტორანტები.

ვორკშოპი მიმდინარეობდა ორ სესიად და წარიმართა პანელური დისკუსიის ფორმატში:

- **სესია I –** სკოლამდელი და სასკოლო განათლება;
- **სესია II –** უმაღლესი განათლება;

ვორკშოპზე აქცენტები გაკეთდა განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებსა და პერსპექტივებზე.

CONFERENCE WORKSHOP INFORMATION

The conference workshop “Education for Well-being” was held on November 18, 2023, organized by the Faculty of Education Sciences of the East European University (EEU) during the World Engineering Education Week within the UNESCO framework. The **aim** of the workshop was to discuss current research findings, ideas, and recommendations on general and advanced education issues related to quality education.

Moderators of the workshop were Professor **David Cherkhezishvili** and **Professor Kakhaber Lazarashvili**. Representatives of the Ministry of Education, Science and Youth of Georgia, **Mariam Chikobava** (Deputy Head of Preschool and General Education Development Department) and **Eka Rurua** (Executive head of the Higher Education Development Department), **Nikoloz Parjanadze** (head of the higher education quality assurance service of NCEQE).

The workshop engaged stakeholders from preschool, general and higher education institutions, research centers, and associations, along with education experts and doctoral students. It consisted of two sessions:

- Session I: Pre-school and General Education
- Session II: Higher Education

The discussions during the workshop focused on existing research and perspectives within the education system.

კონფერენცია-ვორკშოპის პროგრამა

კონფერენცია-ვორკშოპი: განათლება კეთილდღეობისთვის დღის წესრიგი

18 ნოემბერი, 2023



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტიის
ი. ენექიძის ქ. 6 (აშშ-ს საელჩოს მიმდებარედ),
საკონფერენციო დარბაზი 201

სამუშაო ენა: ქართული; ფორმატი: პირისპირ, დისტანციურად

| | |
|--|--|
| 11:30-12:00 | რეგისტრაცია-მიღება (Coffee/Tea) |
| 12:00-12:15 | კონფერენცია-ვორკშოპის გახსნა პახაძერ ლაზარაშვილი პროფესორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი, დავით ჩერქეზიშვილი პროფესორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური კოლეგიის თავმჯდომარე (ვორკშოპის მოდერატორი) მარიამ ჩიქობავა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ეკა რურუა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, (უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მ/შემსრულებელი) ნიკოლოზ ფარჯანაძე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი |
| სესია I: სკოლამდელი და სასკოლო განათლება მოდერატორი: დავით ჩერქეზიშვილი MS TEAMS: https://rb.gy/dlq7mi | |
| 12:15-12:30 | შალვა ტაბატაძე – „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ თავმჯდომარე; პროფესორი, EEU ბილინგვური განათლების ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები, რაშემთხვევაში შეიძლება იყოს რეფორმა წარმატებული საქართველოში |
| 12:30-12:45 | ნათია ნიაური – სპეციალური განათლების პედაგოგთა ასოციაციის თავმჯდომარე; ასისტენტ-პროფესორი, EEU ხატია ცოცხალაშვილი, თეონა თარგამაძე, მარიამ დვალი, მაია გიგაური – სპეციალური განათლების პედაგოგთა ასოციაცია სპეციალური განათლების მასწავლებლის როლი სკოლაში, ძირითადი გამოწვევები და მისი გადაჭრის გზები |
| 12:45-13:00 | სერგო დურგლიშვილი – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი; ასისტენტ-პროფესორი, EEU საჭარო სკოლების ავტორიზაცია – გამოწვევები განათლების სისტემაში |

| | |
|--|---|
| 13:00-13:15 | გიორგი ქანტურია – განათლების კოალიციის დირექტორი პონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) სკოლა ლაბის, „სკოლების გაძლიერების ინიციატივის“ განათლების სპეციალისტი სასკოლო კვება: მიზანი და პერსპექტივები |
| 13:15-13:30 | თინათინ ჩხიცვაძე – სსიპ ქალაქ თბილისის №186 საჯარო სკოლის დირექტორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პირადი ასისტენტის მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორები |
| 13:30-13:45 | თეა ძოშენიძე – განათლებისა და მცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველო, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საგრანტო პროექტის კოორდინატორი; ასისტენტ-პროფესორი, EEU სკოლამდელი განათლების აღტერნატიული მოდელები ადრეულ ასაკში განათლების უფლების უზრუნველსაყოფად |
| 13:45-14:00 | პანელური დისკუსია |
| 14:00-15:00 | ლანჩი |
| სესია II: უმაღლესი განათლება მოდერატორი: დავით ჩერქეზიშვილი MS TEAMS: https://rb.gy/dlq7mi | |
| 15:00-15:15 | ქეთევან აფთარაშვილი – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი; ასოცირებული პროფესორი, EEU სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხი – პრობლემები და პერსპექტივები |
| 15:15-15:30 | გიორგი გახელაძე – ასოცირებული პროფესორი, EEU განათლების სარგებლივანობის გამოწვევები |
| 15:30-15:45 | ეკა ლუაშვილი – უმაღლესი და პროფესიული განათლების ექსპერტი; ასისტენტ-პროფესორი, EEU თინათინ გაბრიჩიძე – უმაღლესი განათლების ექსპერტი; ასისტენტ-პროფესორი, EEU უმაღლესი განათლების დაფინანსება, როგორც სისტემის განვითარების ინსტრუმენტი (გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში) |
| 15:45-16:00 | ნათია გეგელაშვილი – განათლების მეცნიერებების დოქტორანტი, EEU სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისთვის საჭირო პირობები |
| 16:00-16:15 | პანელური დისკუსია |
| 16:15-.... | კონფერენცია-ვორკშოპის შეჯამება |

**კონფერენცია-ვორკშოპის
შესახებ დეტალები:**



ავტორთა შესახებ

ქეთევან აფთარაშვილი – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასო-ცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი.

ეკა ლუაშვილი – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე. შეფასებისა და განვითარების ინსტიტუტის (ADI) დამფუძნებელი, განათლებისა და ISO ექსპერტი.

თინათინ გაბრიჩიძე – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, განათლების მეცნიერების დოქტორი, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ექსპერტი

სერგო დურგლიშვილი – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი; სსიპ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი, და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მათემატიკის ექსპერტი. ასევე, ააიპ კოალიცია განათლება ყველასათვის – საქართველოს (EFA – GEORGIA) კონსულტანტ – მასწავლებელი.

ნათია გეგელაშვილი – ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდის-ციპლინური კვლევითი ცენტრი, ასევე ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მკვლევარი. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების პროგრამის დოქტორანტი.

გიორგი ჭანტურია – განათლების კოალიციის დირექტორი, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) სკოლა ლაბის, „სკოლების გაძლიერების ინიციატივის“ განათლების სპეციალისტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების დოქტორანტი

ნათია ნიაური – „სპეციალური განათლების პედაგოგთა ასოციაციის“ დამფუძნებელი. აღმოსავლეთ-ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

თეონა თარგამაძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების მაგისტრი

ხატია ცოცხალაშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების მაგისტრი, სპეციალური განათლების პედაგოგთა ასოციაცია

მარიამ დვალი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების მაგისტრი, სპეციალური განათლების პედაგოგთა ასოციაცია

მაია გიგაური – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების მაგისტრი, სპეციალური განათლების პედაგოგთა ასოციაცია

თინათინ ჩხიკვაძე – სსიპ ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლის დირექტორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების მაგისტრი

შალვა ტაბატაძე – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ თავმჯდომარე

თეა ძონენიძე – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველო, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საგრანტო პროექტის კოორდინატორი; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

NOTES ON CONTRIBUTORS

Ketevan Apterashvili – Associate Professor, Dean of Education Sciences Faculty of East European University, Expert of authorization of higher educational institutions and accreditation of educational programs, head of bachelor's and master's programs of the National Center for Quality Development of Education (NCEQE).

Eka Luashvili – Assistant professor of the Eastern European University, the chairperson of the representative board, is the deputy head of the quality assurance service. Founder of the Assessment and Development Institute (ADI), an education and ISO expert.

Tinatin Gabrichidze – Assistant Professor of East European University, Doctor of Education Science, Higher Education Expert of the NCEQE

Sergo Durglishvili – Assistant Professor of East European University; Expert of authorization of general educational institution of the NCEQE and expert of mathematics of authorization of general educational institution. Also, AAP Coalition Education for All – Georgia (EFA – GEORGIA) consultant – teacher.

Natia Gegelashvili – Researcher of Physical, Mental and Social Well-being Scientific and also Varlam Cherkezishvili Centre for Interdisciplinary Studies Research Centres of East European University, Phd Student of Education Sciences

Giorgi Tchanturia – Director of the Education Coalition, Counseling and Training Center (CTC) School Lab, education specialist associated with the “Strengthening Schools Initiative”. Giorgi Chanturia is a doctoral candidate in educational sciences at East European University.

Natia Niauri – Founder of the Association of Special Education Teachers. Assistant Professor of East European University.

Teona Targamadze – Master of Special Education of Ilia State University

Khatia Tsotskhalashvili – Master of Special Education of Ilia State University, Association of Special Education Teachers

Mariam Dvali – Master of Special Education of Ilia State University, Association of Special Education Teachers

Maia Gigauri – Master of Special Education of Ilia State University, Association of Special Education Teachers

Tinatin Chkhikvadze – Director of Tbilisi Public School N186, Master of Education Sciences of East European University

Shalva Tabatadze – Professor of the East European University, Chairman of the “Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR)”

Tea Dzotsenidze – Preschool Education Department of the Ministry of Education and Science, United Nations Children’s Fund (UNICEF) grant project coordinator; Assistant Professor of East European University.

სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხი – პრობლემები და პერსპექტივები

ქეთევან აფთარაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გაფართოებული აბსტრაქტი

საუკუნეების განმავლობაში კვლევა განიხილებოდა როგორც უპირატესად ინდივიდუალური, პერსონალური საქმიანობა – იგი საზრდოობდა ცალკეული მკვლევრის ან მკვლევართა მცირე ჯგუფის იდეებითა და წარმოსახვით და ეყრდნობოდა აკადემიური თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპს. თანამედროვე საუნივერსიტეტო კვლევა გუნდების, დეპარტამენტებისა და ინსტიტუტების კოორდინირებულ მუშაობას მოითხოვს. ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობის კოლექტიურ საქმიანობად ჩამოყალიბების კვალ-დაკვალ ყალიბდება „კვლევის მართვის ახალი პროფესია“, საკუთარი ქსელით, საჭიროებებით, რესურსებითა და კომუნიკაციის ფორმებით (Kirkland, 2008). უნივერსიტეტების საქმიანობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა, იგი ზნეობრივად და ინტელექტუალურად დამოუკიდებელ უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისგან (უნივერსიტეტების დიდი ქარტია, ბოლონია, 1988). კვლევა ასევე მოიაზრება, როგორც რთულად განჭვრეტადი შედეგის მქონე საქმიანობა, რომელსაც ხშირად მიჰყავს მკვლევარი მოულოდნელი მიმართულებებით მოულოდნელი შედეგებისაკენ. შესაბამისად, კვლევითი საქმიანობა ყოველთვის რთულად ექვემდებარებოდა კონტროლსა და მართვას (Tailor, 2006).

ბოლო წლებში საქართველოში განხორციელებული კვლევები აჩვენებს, რომ ქვეყანაში საუნივერსიტეტო კვლევა ფრაგმენტულია. არ არის ჩამოყალიბებული კვლევითი პრიორიტეტები როგორც ცალკეული დარგისთვის, ისე ორგანიზაციის ან უნივერსიტეტის. ამასთანავე, კვლევის შეფასებისა და მონიტორინგის სქემებში სათანადო არ არის ჩაშენებული მესამე მისისა და გამოყენებითი კვლევის პრიორიტეტი (ბრეგვაძე, 2020).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს სტუდენტის კვლევითი ნაშრომის ხარისხის შეფასების საკითხის აქტუალობა. წინამდებარე

სტატიაში წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მაგალითზე სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხის კვლევა, რომელიც მიმოიხილავს ძირითად გამოწვევებს, ხარვეზებსა და ძლიერ მხარეებს. კერძოდ, ჩატარდა **რაოდენობრივი კვლევა**, რომლის ფარგლებშიც მოხდა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ კვლევის კომპონენტის – სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ხარისხით კმაყოფილების შეფასება. ასევე, გაანალიზდა სამაგისტრო პროგრამაზე მიღებასა და კურსის დასრულებასთან დაკავშირებული ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლები, იდენტიფიცირდა დაცული სამაგისტრო ნაშრომების ძირითადი თემატური მიმართულებები და განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი.

კვლევის პროცესმა თვალსაჩინო გახადა ის პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრანტთა მიერ კვლევითი კომპონენტის – სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ხარისხს. შესაბამისად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა 2014 წლიდან ფუნქციონირებს და პროგრამაზე მიღების მაჩვენებელი ჯამში 454 სტუდენტს შეადგენს, რომელთაგან 31,5% სახელმწიფო სასწავლო გრანტით სარგებლობდა. აღსანიშნია, რომ 2023 წელს განათლების მიმართულების მიხედვით საერთო სამაგისტრო სახელმწიფო გრანტით სხვადასხვა უნივერსიტეტის დაფინანსებული 84 სტუდენტიდან პროცენტულად (36%) ყველაზე მეტი გრანტი მოიპოვა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2023). 2023 წლის მდგომარეობით, პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 184-ს და პროგრამით განსაზღვრულ ვადაში სწავლის დასრულების მაჩვენებელი კი საშუალოდ 60%-ია.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში განათლების მიმართულების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომების თემატურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მათ მიერ შერჩეული საკვლევი თემები ძირითადად არის: განათლების ინტერნაციონალიზაცია, არაფორმალური განათლება, მასწავლებლის პროფესიული განვითარება, განათლების ხარისხი, ინკლუზია და მრავალფეროვნების მართვა, მშობელთა ჩართულობა, განათლების ხელმისაწვდომობა, სკოლებისა და უსდ-ების ავტონომია,

განათლების დაფინანსება, მისაღები და საატესტატო გამოცდები, სწავლება-სწავლა და შეფასება, სკოლამდელი და ადრეული განათლება, დისტანციური განათლება, დასაქმება და მხარდამჭერი სერვისები, კეთილდღეობა, სადოქტორო განათლება საქართველოში, უმაღლესი და პროფესიული განათლება, განათლების სამართალი;

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები

სტატიაში წარმოდგენილი საკვლევი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის ამოცანები:

- კურსდამთავრებულთა მიერ ფაკულტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება;
- კვლევითი კომპონენტის შესრულებაში სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ჩართულობით კმაყოფილების შესწავლა;
- კვლევითი კომპონენტის შესრულებაში სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მხარდაჭერით კმაყოფილების შეფასება;
- კურსდამთავრებულის მიერ საკუთარი კვლევითი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე თვითრეფლექსიის შეფასება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების კვლევა;

სამიზნე ჯგუფი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები;

რაოდენობრივი კვლევისთვის მონაცემების მოგროვების გზად არჩეული იქნა ელექტრონული გამოკითხვა Survey monkey-ს პლატფორმის გამოყენებით. შერჩევის მეთოდად რაოდენობრივი კვლევისას გამოყენებული იქნა გენერალური ერთობლიობის გამოკითხვა. კითხვარი გაეგზავნა 184 კურსდამთავრებულს და გამოპასუხების მაჩვენებლი შეადგენს 30%-ს. აღსანიშნია, რომ გამოკითხულთა 77% არის 2022 და 2023 წლებში კურსდამთავრებული.

რესპონდენტები 5-ბალვიან სკალაზე აფასებდნენ ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელსა და ნაშრომის დაცვის კომისიის მუშაობით კმაყოფილებას (იხ. დიაგრამა №1). გამოკითხულ კურსდამთავრებულთა მიერ ყველაზე მაღალი კმაყოფილება დაფიქსირდა ფაკულტეტის ადმინისტრაცია/პროგრამის ხელმძღვანელები სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ორგანიზაციული საკითხების შესახებ საკონსულტაციო შეხვედრებით (საშუალო ქულა – 4.57), საჭირო გზამკვლევების წინასწარ მოწოდებაზე (4.65), სამაგისტრო ნაშრომის წარდგენისა და ანტიპლაგიატის პროგრამაში შემოწმებისა

(4.61) და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ეტაპებზე (4.57); ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების წინასწარ ინფორმირებულობისა (4.51) და ფაკულტეტის ადმინისტრაცია/პროგრამის ხელმძღვანელი სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შერჩევაში მხარდაჭერის შესახებ (4.39). კმაყოფილების შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მუშაობით (საშუალო ქულა – 3.86).

მეტად საინტერესოა სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ჩართულობითა (იხ. დიაგრამა 2) და მხარდაჭერით (იხ. დიაგრამა 3) კმაყოფილების შეფასება. აღსანიშნია, რომ 5-ქულიან შკალაზე სამეცნიერო ხელმძღვანელით კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების დონე არის საშუალოდ 4.4, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამასთანავე, გამოკითხვის შედეგებით იკვეთება, რომ განსაკუთრებით მაღალი კმაყოფილება დაფიქ-სირდა დამოუკიდებლად არჩევანის გაკეთებაზე (საშუალოდ 4.6), სამეცნიერო ხელმძღვანელის კონკრეტულად სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ საკითხთან დაკავშირებული შესაბამის ცოდნაზე (4.6), კონსულტაციების გაწევაზე (4.45). შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვასთან დაკავშირებით (საშუალო ქულა – 4.13), თუმცა აღსანიშნია, რომ 5-ქულიან შკალაზე საშუალოდ 4 ქულაზე ნაკლები არცერთ დებულებასთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა;

მეტად საინტერესო იყო კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომის ხარისხთან დაკავშირებით თვითრეფლექსიის შედეგები (იხ. დიაგრამა 4). კერ-ძოდ, მათ მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობით ზოგადი კმაყოფილების დონე ძალიან მაღალია (საშუალო ქულა – 4.56). თვითრეფლექსიის დროს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ასევე ფრაზას: „შესრულებული სამაგ-ისტრო ნაშრომი არის ჩემი დამოუკიდებელი კვლევა“ (4.89), ასევე, მიიჩნევენ, რომ მათი სამაგისტრო ნაშრომები შერჩეულია აქტუალობის/პრობლემატურო-ბის გათვალისწინებით (4.8), ხოლო ყველაზე სუსტ მხარედ მიიჩნევენ მაგის-ტრატურაში სწავლის პერიოდში სამეცნიერო კონფერენციებში/კორკშოპებში/ პროექტებში მონაწილეობას (საშუალო ქულა – 2.98), ნაშრომში მიღებული საბოლოო შეფასების ადეკვატურობას (3.71). ამ უკანასკნელთა მიმართებით საინტერესოა, რომ შემფასებელი დაცვის კომისიით მუშაობის კმაყოფილებაც ზემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე №1 შედარებით დაბალია.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 81.4% აცხადებს, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად ისინი სრულ განაკვეთზე იყვნენ დასაქმებულები, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ხარისხზე; თუმცა ასევე საყურადღებოა

ის ფაქტიც, რომ უმრავლესობა (72%) პროფესიის შესაბამისად იყო/არის დასაქმებული და ამასთანავე, ძირითადად დამსაქმებელი ორგანიზაციები არიან საგანმანათლებლო დაწესებულებები და ამ დაწესებულებებში მათი სამუშაო პოზიციები უმეტესად არის: დირექტორი, მასწავლებელი, აღმზრდელი, სპეციალისტი, კოორდინატორი და ა.შ.

რესპონდენტებს დაესვათ ლია კითხვებიც, რომლის ფარგლებშიც შეეძლოთ შემოეთავაზებინათ ნინადადებები სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ლია კითხვების ანალიზის შედეგად ძირითადად იკვეთება, რომ მნიშვნელოვანია მოხდეს სამეცნიერო კვლევების განხორციელებაში მეტი მხარდაჭერა (მათ შორის ფინანსური) და კვლევის მეთოდების სწავლების გაძლიერება, იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო ხელმძღვანელად შერჩეული იქნება მაგისტრანტისთვის უცნობი პირი, რომელიც მანამდე სასწავლო პროცესში არ მონაწილეობდა, მნიშვნელოვანია კომუნიკაციის ბარიერების გადალახვაზე ადმინისტრაციის მხარდაჭერის გაძლიერება, გაძლიერდეს კვლევით აქტივობებში (კონფერენცია, ვორკშოპი, პროექტები) მაგისტრანტთა ჩართულობის ხელშემწყობი მექანიზმები, სამეცნიერო ხელმძღვანელების მიერ გაძლიერდეს სისტემური უკუკავშირ და მონიტორინგი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაცვის კომისიის დაკომპლექტებას (განსაკუთრებით მოწვეული წევრის ნაწილში).

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში კვლევის ბოლო ეტაპზე განხორციელდა განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგები გადანაწილებულია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის კომპონენტებზე. პროგრამის სწავლის შედეგები ვითარდება შემდეგი ლოგიკით: გაცნობა – გაღრმავება – განმტკიცება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება განმტკიცების ნაწილში, რაც წარმოდგენილ პროგრამაში მიიღწევა „რეფლექსიური პრაქტიკისა“ და კვლევითი კომპონენტის – სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგებით. ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ შემთხვევაში შემთხვევაში გაანალიზდა კონკრეტულად გაანალიზებული იქნა 84 კურსდამთავრებულის მიერ სამაგისტრო ნაშრომი მიღებული შეფასებები. კერძოდ, განხორციელდა მათი ანალიზი 20%-იანი გადახრის დაშვების პირობით (იხ. ცხრილი 1). სტუდენტების შეფასება შემდეგნაირად არის განაწილებული: A შეფასება

მიიღო 11%-მა, B შეფასება მიიღო – 41,5%-მა, C შეფასება – 26,8%-მა. D შეფასება – 14,6%-მა, E შეფასება მიიღო 6,1%-მა. წარმოდგენილი მონაცემებიდან ნათელია, რომ სამიზნე ნიშნულებიდან გადახრა იმყოფება 20%-იანი ზღვრის ფარგლებში. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზთან დაკავშირებით (სამაგისტრო ნაშრომის ნაწილში) უნდა ითქვას, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიხედვით საშუალოდ კურსდამთავრებულთა 88.83%-მა მიიღო 70 ქულაზე მეტი შეფასება. უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი სამიზნე ნიშნული კი არის 70%, ხოლო გადახრა 13.83%, რაც ასევე ჯდება გადახრის დაგეგმილ დიაპაზონში.

ცხრილი 1. პროგრამის სამიზნე ნიშნულები

| | | ქულების განაწილება | | | | | | |
|-----------------------|-------------------------------------|--------------------|-----------|-----------|-----------|-----------|------------|----------|
| ECTS Grade | | A (91-100) | B (81-90) | C (71-80) | D (61-70) | E (51-60) | FX (41-50) | F (0-40) |
| სამაგისტრო ნაშრომი | დაგეგმილი სამიზნე ნიშნული (%-ში) | 10 | 25 | 30 | 25 | 10 | 0 | 0 |
| | ფაქტური მაჩვენებელი (%-ში) | 11.0 | 41.5 | 26.8 | 14.6 | 6.1 | 0.0 | 0.0 |
| | გადახრა | -1.0 | -16.5 | 3.2 | 10.4 | 3.9 | 0.0 | 0.0 |


ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე და კვლევითი კომპონენტის – სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ხარისხის გაზრდის კუთხით მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- რეკომენდებულია, კვლევითი საჭიროებების მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით კვლევითი თემების (პრიორიტეტების) სის ფორმირება;
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს კვლევითი საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის მხარდამჭერი მექანიზმები და გადაიხედოს სტუდენტთა კვლევითი პროექტების დაფინანსების სისტემა;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის კვლევით ცენტრებთან/ინსტიტუტებთან თანამშრომლობისა და პერსონალთან ერთად სტუდენტთა კვლევით საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერება;
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მუშაობის ხარისხის შემდგომი სიღრმისეული კვლევა და შეფასების პროცესის მონიტორინგის გაძლიერება/დაზუსტება; კერძოდ, გადაიხედოს კვლევის შეფასების მიდგომები, ინდიკატორები და ნიშნულები.
- სტუდენტთათვის კვლევითი ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შეთავაზებულ იქნას დამატებითი ტრენინგ-კურსების სერია


სამეცნიერო-კვლევით უნარების განვითარებისთვის, მეტიც, სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს აღნიშნულ ტრენინგ-კურსებში სტუდენტთა სავალდებულოდ მონაწილეობის საკითხი;

- აკადემიური პერსონალისთვის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის ნაწილში შეთავაზებულ იქნას ტრენინგ-პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ეფექტუარი უკუკავშირის გაცემა, კომუნიკაცია და მოტივაცია, ცოდნის განახლება კონტექსტ-სპეციფიური ტექნოლოგიების, ახალი მეთოდებისა და მიდგომების მიმართულებით.


დიაგრამა №1 – ფაკულტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება




დიაგრამა №2 – სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეფასება
– ჩართულობით კმაყოფილება



დიაგრამა №3 სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეფასება – მხარდაჭერით კიბელურობის შეფასება



დიაგრამა №4 – თვითრეფლექსია



გამოყენებული ლიტერატურა:

ბრეგვაძე, თ. (2020), უმაღლესი განათლება და კვლევა საქართველოში: გამოწვევები და მიზნები. ბოლონიის პროცესის 15 წელი საქართველოში: მიღწევები, გამოწვევები და რეკომენდაციები, Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფიციალური ინსტიტუტი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტები.

უნივერსიტეტების დიდი ქარტია, ბოლონია, 1988, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2023 <https://naec.ge/#/ge/post/3072>

Kirkland, J. (2008). University research management: An emerging profession in the developing world. *Technology Analysis & Strategic Management*, 20(6), 717-726;

Taylor, J. (2006). Managing the Unmanageable: the Management of Research in Researcher Universities. *Higher Education Management and Policy*. OECD, 8;

**უმაღლესი განათლების დაფინანსება,
როგორც სისტემის განვითარების ინსტრუმენტი
(გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში)**

ეკა ლუაშვილი, თინათინ გაბრიჩიძე
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

უმაღლესი განათლების ინდივიდებისა და ქვეყნებისთვის სოციალური და ეკონომიკური სარგებლის, უმაღლესი განათლების, როგორც ინოვაციისა და კონკურენციის ზრდის ინსტრუმენტის აღიარებასთან ერთად, გაიზარდა უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებაზე, მათ შორის, უმაღლესი განათლების შედეგებზე უმაღლესი განათლების დაფინანსების მექანიზმების გზით მიმართული პოლიტიკა თუ რეფორმები (Herbst, 2020; Jongbloed, 2010; Sporn, 2020).

უმაღლესი განათლების სისტემებმა მსოფლიოში განიცადეს და კვლავ განიცდიან მსგავს ცვლილებებს: სახელმწიფოს მხრიდან უმაღლესი განათლების დაფინანსების შემცირება, სწავლის საფასურის შემოღება და მისი ზრდა, მინამეურნეობების მხრიდან უმაღლეს განათლებაზე გაწეული დანახარჯის ზრდა, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიებისა და ინდუსტრიასთან თანამშრომლობის მნიშვნელობის ზრდა, შესრულებაზე დაფუძნებული კომპონენტების შემოღება უმაღლესი განათლების დაფინანსებაში (Jongbloed, 2010; Jooste, 2020).

აღნიშნულ სისტემურ ცვლილებებზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ) რეაგირების კვლევის ანალიზზე დაფუძნებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მთელს მსოფლიოში განიცდიან ფინანსურ ზენოლას (Johnstone & Marucci, 2010; Toutkoushian & Paulsen, 2016). ფინანსური წნევი გამოწვეულია ერთის მხრივ, მზარდი დანახარჯებით ერთ სტუდენტზე, რომელიც, როგორც წესი, აჭარბებს ინფლაციის მაჩვენებელს (Archibald, 2020; Johnstone, 2002; Johnstone, 2020), და ძლიერდება საჯარო რესურსების შემცირების შედეგად. ფინანსური რესურსების სიმწირე აძლიერებს მოთხოვნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტურობასა და ეფექტიანობაზე. მრავალი უმაღლესი

საგანამანთლებლო დაწესებულება განიცდის ფინანსურ გამოწვევებს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ხარისხის გაუარესება. უსდ-ები იძულებული არიან მოიძიონ დაფინანსების ალტერნატიული წყაროები, მოახდინონ თავიანთი კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის კომერციალიზაცია, იმოქმედონ, როგორც მეწარმეებმა და ამავდროულად დაამტკიცონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა და ხარისხი უმაღლესი განათლების გლობალურ ბაზარზე, რათა მოიპოვონ და შეინარჩუნონ საუკეთესო კადრები და სტუდენტები. აღნერილი ზენოლა და სტრატეგიები უბიძგებს უსდ-ებს, გადახედონ ფინანსური მართვისა და დაგეგმვის როლს და მწირი რესურსებით მაქსიმალურად გაზარდონ შედეგები (Taylor, 2010; Heller, 2022).

საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ ლიტერატურის და შესაბამისი სტატიისტიკური მონაცემების ანალიზით დასტურდება, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საქართველოში ოპერირებენ საბაზო პირობებში, სადაც კონკურენცია მაღალია, კერძო მოთამაშეების წილის მზარდი მაჩვენებლით.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ასევე სახეზეა გაზრდილი მოთხოვნა, თუმცა, მიწოდება აღემატება მოთხოვნას. უმაღლეს განათლებაზე მაღალ მოთხოვნასთან ერთად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის ზრდის შედეგად, ყოველწლიურად საქართველოს უსდ-ებში რამდენიმე ათეული ათასი ვაკანტური ადგილი რჩება. შესაბამისად, კონკურენცია საქართველოს უმაღლესი განათლების ბაზარზე, შესაძლებელია დახასიათდეს როგორც კონკურენცია საუკეთესო პერსონალზე, სტუდენტებსა და პრესტიუზე შეჯიბრი (Gabrichidze, 2023).

მიუხედავად საქართველოს მისწრაფებისა, იყოს კონკურენტული ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში, საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსება როგორც მოცულობით, ასევე მექანიზმების ეფექტიანობით, შორს არის ევროპული ქვეყნებისგან. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულთან სინქრონიზაციის პირობებში, საეჭვოა, რამდენად უწყობს ხელს გამოყოფილი ფინანსური რესურსები საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნების მიღწევას.

გაფართოებულ აბსტრაქტში წარმოდგენილი მსჯელობა, დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელსა და მექანიზმებთან მიმართებით ეფუძნება განხორციელებულ რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს, ასევე აქტუალური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა

საქართველოს კერძო და საჯარო უსდ-ების სტუდენტების გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 585-მა სტუდენტმა. შედეგები გაანალიზდა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სტატისტიკური პროგრამული მხარდაჭერით.

კვლევის მიზნებისთვის ასევე გაანალიზდა უსდ ავტორიზაციის ექს-პერტთა დასკვნები ყველა მოქმედი უსდ-ისთვის, რომელმაც გაიარა ხელახალი ავტორიზაცია, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა კორელაციის კვლევა სტანდარტის კომპონენტი 7.4-ისა და ავტორიზაციის სხვა სტანდარტის კომპონენტთა შეფასებას შორის, ხოლო თვისებრივი კვლევის ფარგლებში გაანალიზდა დასკვნების შინაარსი.

კვლევის მიზნებისთვის სტრუქტურირებული და ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუების მეშვეობით შეგროვდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შეფასება, კერძოდ: უსდ-ების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლის.

მიღებული შედეგების სინთეზის საფუძველზე, გამოიკვეთა ის ძირითადი გამოწვევები უმაღლესი განათლების სისტემის, მისი ხარისხის განვითარების მიმართულებით, რაც უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებული მოდელიდან გამომდინარეობს.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებისთვის რაც უმაღლესი განათლების დაფინანსებას უკავშირდება, არის საგანმანათლებლო ვაუჩერის ოდენობა (2250 ლარი), რომელიც ასევე წარმოადგენს სწავლების საფასურის ზედა ზღვარს საჯარო უსდ-ებისთვის.

ვაუჩერის მოცულობა პრობლემატურია რამდენიმე მიზეზის გამო. ვაუჩერის ოდენობა არ შეცვლილა 2010 წლის შემდგომ და არ არის დიფერენცირებული სწავლების/საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა მიმართულების შესაბამისად.

ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს უსდ-ების კუნკურენტუნარიანობაზე, არის უნიფიცირებული ვაუჩერის ოდენობა, რომელიც არ არის დიფერენცირებული დარგების მიხედვით, მაშინ, როდესაც სხვადასხვა პროგრამის განხორციელების ხარჯი ხშირ შემთხვევაში საკმაოდ განსხვავებულა.

უსდ-ების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ვაუჩერის ოდენობა არ შეესაბამება ხარისხიანი უმაღლესი საგანმანათლებლო სერვისის მიწო-

დებისთვის საჭირო ფინანსურ მოთხოვნას არათუ ძვირადლირებულ (მაგალითად, მედიცინა, ზუსტი და საპუნქტისმეტყველო მეცნიერებები, სახელმწიფო მიმართულებები) პროგრამულ მიმართულებებზე, არამედ ნაკლებ დანახარჯებთან ასოცირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს.

უმაღლეს განათლებაში თეორიისა და კვლევის შედეგების მიხედვით, ერთ სტუდენტზე დანახარჯი იზრდება ინფლაციის დონეზე მეტად, რომელიც საქართველოში, 2010 წელს ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ 73.45%-ს უტოლდება (2023 წლის ნოემბრის მონაცემი). შესაბამისად, მსოფლიოში აღიარებულ გაზრდილ დანახარჯებთან ერთად, ვაუჩერის მოცულობა არ შეცვლილა ინფლაციის დონის გათვალისწინებითაც.

გარდა ინფლაციის დონისა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსურ კეთილდღეობასა და დანახარჯების მოცულობაზე გავლენას ახდენს შეცვლილი ეროვნული ვალუტის კურსი. 2010 წელს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 1.8-ს უდრიდა (საქსტატი, 2023).

ვაუჩერის არასაკმარისი ოდენობა ხელს უშლის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, დარგებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებას. მართალია, აღნიშნულს უფრო მეტად ნეგატიური გავლენა აქვს საჯარო უსდ-ებზე, თუმცა, კერძო უსდ-ები ასევე ხელმძღვანელობენ დაწესებული ვაუჩერის ოდენობით სწავლების საფასურის განსაზღვრისას, რაც, დასტურდება როგორც სამეცნიერო ლიტერატურითა და კვლევებით, ასევე ინტერვიუების შედეგებით. ინფლაცია დასახელდა როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, რაც ნეგატიურად მოქმედებს უსდ-ების შესაძლებლობებზე. ის, რომ ინფლაციის მზარდი მაჩვენებელი არ ასახულა ვაუჩერის ოდენობაზე, დადებითა, თუ მომხდარს განვიხილავთ უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, თუმცა, უარესია ხარისხისთვის. საჯარო უსდ-ების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მრავალი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ერთ სტუდენტზე გაწეული დანახარჯი აჭარბებს ვაუჩერის ოდენობას, მეტიც, მრავალი პროგრამა ხორციელდება ფინანსური ზარალით, ვინაიდან პროგრამები ხორციელდება არასაკმარისი სტუდენტთა რაოდენობით, დარგის შენარჩუნების მიზნით. სხვადასხვა პროგრამის სუბსიდირება, უნივერსიტეტის მისისა და ხედვიდან გამომდინარე, ჩვეული პრაქტიკაა მსოფლიოში, თუმცა, საქართველოს რეალობაში არსებული სიხშირის გათვალისწინებით, ის საბოლოოდ საჯარო უსდ-ების ფინანსური რესურსების შემცირებასა და ფინანსურ სირთულეებს

გამოიწვევს, ხელს შეუშლის არამხოლოდ ფინანსურად არამომგებიანი, არამედ მომგებიანი პროგრამების განვითარებასაც. მეტიც, ამან შეიძლება გამოიწვიოს ნაკლოვანებები ინსტიტუციების ფინანსურ მენეჯმენტში. განვითარებისთვის საჭირო რესურსების არარსებობა და დაბალი შრომის ანაზღაურება პერსონალისთვის კი იწვევს გაზრდილ დატვირთვასა და ხარისხის შემცირებას.

სადოქტორო განათლების არასაკმარისი დაფინანსება იყო ერთ-ერთი თემა, რაც ინტერვიუების დროს გამოიკვეთა.

როგორც აღინიშნა, უმაღლესი განათლების დაფინანსება წარმოადგენს სახელმიფო ინსტრუმენტს უმაღლესი განათლების ბაზრის სტიმულირებისთვის, უმაღლესი განათლების სტრატეგიული მიზნების მიღწევის, ხარისხის განვითარებისა და სასურველი აქტივობის წახალისებისთვის. თუმცა, საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელი ნაკლებად ახდენს ბაზრის სტიმულირებას. თუკი დაფინანსების მოდელი ახდენს გავლენას ბაზრის მოთამაშეთა ქცევაზე, ლოგიკურად, არსებული დაფინანსების მოდელი გარდა სახელმიფო გრანტის მფლობელი სტუდენტების მოზიდვისა, სხვა სტიმულებს არ აწვდის უსდ-ებს. დაბალია კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წილი (არაუმეტეს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.3%-ისა) არ არსებობს დაფინანსების მოცულობასთან დაკავშირებული შესრულების ინდიკატორები (Tabatadze, 2023; Gabrichidze, 2023).

აღსანიშნავია ასევე დაფინანსების მოცულობის სიმცირე რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, ხოლო უმაღლესი განათლების დანახარჯების უმეტესობა შინამეურნეობების მიერ არის დაფარული (შინამეურნეობათა წილი უმაღლესი განათლების ხარჯებში 2019 წელს 77%-ს უდრიდა).

ამასთან, მიუხედავად ვაუჩერის ოდენობის განათლების ხარისხზე უარყოფითი გავლენისა, განათლებაზე ხელმისაწვდომობა და თანაბარი შესაძლებლობები რისკის ქვეშაა. ერთის მხრივ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსი, ვაუჩერის ოდენობა არასკმარისია, მეორეს მხრივ კი, სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები ნაკლებად განვითარებულია (Chankseliani, 2013), ხოლო სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯები – უფრო მაღალი, ვიდრე ევროპულ ქვეყნებში (Eurostudent, 2021).

საქართველოს უმაღლესი განათლების ბაზარს ასევე ახასიათებს ძლიერი და მზარდი კერძო სექტორი. კერძო სექტორის შემოსავლების წილი მზარდია, 10.3%-დან 2009 წელს ის 2019 წლისთვის 33.2%-მდე გაიზარდა (GALT & TAGGART, 2020).

როგორც აღინიშნა, უსდ-ს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნების თემატური ანალიზი განხორციელდა როგორც კერძო, ასევე საჯარო უსდ-ებისთვის. შედეგები მიუთითებენ საჯარო დაწესებულებებში არსებულ ფინანსურ გამოწვევებზე. 10-დან 10 თემატური კოდი „ფინანსური რესურსები ხელს უწყობს ზრდას“ კვლევის შედეგად გვხვდება კერძო უსდ-ების დასკვნებში, ხოლო 7-დან 6 კოდი „ფინანსური რესურსები ხელს უშლის ზრდას“ წარმოდგენილია საჯარო უსდ-ების დასკვნებში.

ასევე აღსანიშნავია, რომ კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, დასკვნების ანალიზის საფუძველზე, უფრო აქტიურად ახდენენ ფინანსების ინვესტირებას სტუდენტურ სერვისებსა და პერსონალის განვითარებაში, რათა გაზარდონ კონკურენტულობა. საჯარო უსდ-ები კი უფრო წარმატებით ახდენენ შემოსავლის წყაროების დივერსიფირებას.

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, რომელიც 2018-2019 აკადემიური წლიდან 2022-2023 აკადემიური წლის ჩათვლით მიმდინარეობდა და ჯამში 585 რესპონდენტი ჰყავდა, აჩვენებს, რომ სტუდენტთა კმაყოფილება უფრო მაღალია კერძო უსდ-ების სტუდენტებს, ვიდრე საჯარო უსდ-ების სტუდენტებს შორის. კმაყოფილების დონე კერძო უსდ-ების სტუდენტებს შორის უფრო მაღალია კითხვარის 21 კომპონენტში, 22-დან. სტუდენტთა საერთო კმაყოფილება ასევე უფრო მაღალია კერძო უსდ-ების სტუდენტებს შორის. კრონბახის ალფას სანდოობის კოეფიციენტი ადასტურებს ინსტრუმენტის სანდოობას, ხოლო T-ტესტის შედეგები აჩვენებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას კმაყოფილების დონეებს შორის.

არსებული დაფინანსების მოდელი არ უწყობს ხელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა თუ უმაღლესი განათლების სისტემის საქმიანობისა და კონკურენტულობის განვითარებას.

სამთავრობო უწყებების წარმომადგენელთა ინტერვიუები ასევე თანხვედრაშია კვლევის მიგნებებთან. ის, რომ დაფინანსების მოდელი საჭიროებს განახლებას, კარგად ცნობილი ფაქტია მათთვის. მიმდინარეობს ახალი დაფინანსების მოდელის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მიმდინარე მოდელის ნაკლოვანებები.

კვლევის შედეგად გამოკვეთილ ძირითად მიგნებებზე დაყრდნობთ, უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელის რეფორმირება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით აღმოფხვრის არსებული მოდელის ნაკლოვანებებს და ხელს შეუწყობს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებას:

- ერთ სტუდენტზე მზარდ დანახარჯებთან ერთად, ფინანსური წნევი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ძლიერდება ინფლაციისა და ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების პირობებში, რომელსაც თან არ სდევდა ვაუჩერის ოდენობის ცვლილება. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უწევთ გაზრდილი დანახარჯები თითოეულ სტუდენტზე, ხოლო ვაუჩერის მოცულობა, რაც არ შეცვლილა ხარჯების ზრდასთან ერთად, გამოიწვევს შემცირებულ შემოსავალს ერთ სტუდენტზე. ვაუჩერის უნიფიცირებული ოდენობა, რომელიც არ იძლევა ხარჯების დიფერენცირების შესაძლებლობას სხვადასხვა დარგის მიხედვით, ხელს უშლის მათ განვითრებას, ნეგატიური გავლენა აქვს საჯარო უსდ-ებზე, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში კერძო უსდზე, თუმცა, ნაკლები სიძლიერით. შესაბამისად, რეკომენდებულია, ვაუჩერის ოდენობის რეკალკულაცია, ინფლაციასა და სხვა ხარჯების მამოძრავებლებთან მიმართებით და პროგრამული მიმართულებების შესაბამისად დიფერენცირება;
- სწავლების გაზრდილი საფასური, რაც იქნება გაზრდილი ვაუჩერის თანმდევი მოვლენა, შეამცირებს უმაღლეს განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და დიდი ალბათობით, გამოიწვევს უმაღლესი განათლების სოციალური სარგებლის შემცირებას. შესაბამისად, სწავლების საფასურის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია იმ მხარდაჭერის მექანიზმების შემოღება, რაც უზრუნველყოფს უმაღლეს განათლებაზე წვდომას დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან; სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა უმაღლესი განათლების საფასურის ზრდასთან ერთად უნდა გაძლიერდეს, რაც შეიძლება გულისხმობდეს მრავალფეროვან მხარდაჭერის მექანიზმებს, მათ შორის, ხელმისაწვდომ სტუდენტურ სესხებს;
- საჯარო უმაღლესი სანგამანათლებლო დაწესებულებები ფინანსური გამოწვევების წინაშე დგანან. მნიშვნელოვანია საჯარო უსდ-ების ფინანსური მხარდაჭერა ბლოკ-გრანტებით, ფორმულებზე დაფუძნებით, რაც ასევე შეამცირებს ვაუჩერის ოდენობის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის შემცირების დონეზე გაზრდის საჭიროებას, ვინაიდან შეამცირებს ფინანსურ დამოკიდებულებას ვაუჩერზე/სწავლის საფასურზე;
- კარგი დასავლური პრაქტიკის გათვალისწინებით, შესრულებაზე

დაფუძნებული დაფინანსების კომპონენტების შემოღება, ხელს შეუწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის შედეგების ხარისხი განვითარებას და უმაღლესი განათლების სისტემის, კურსდამთავრებულთა და ქვეყნის კონკურენტულობის გაზრდას. მნიშვნელოვანია, თანასწორობისა და საბაზრო პრინციპების გათვალისწინებით, შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსება ხელმისაწვდომი იყოს როგორც საჯარო, ასევე კერძო უსდ-ებისთვის. საჯარო უსდ-ებისთვის ხელმისაწვდომი საბაზისო დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებების ფინანსური სტაბილურობა და მიმდინარე დანახარჯების დაფარვა უზრუნველყოფილი იქნება, შესრულების ინდიკატორები კი უზრუნველყოფს დაწესებულებებს შორის კონკურენციის ამაღლებას და ხარისხის განვითარებას.

- ვინაიდანსაქართველოსუმაღლესსაგანმანათლებლოდაწესებულებებში პრობლემატურია ალტერნატიული დაფინანსების წყაროები და შემოსავლების დივერსიფიცირება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, შესრულების ინდიკატორები შეიძლება მოიცავდეს უსდ-ების შედეგებს ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოძიებასა და კვლევის შედეგების კომერციალიზაციის მიმართულებით. აღნიშნული ინდიკატორი შეიძლება წარმოადგენდეს ფინანსების მოძიებისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე დამოკიდებულების შემცირების სტიმულს;
- კვლევითი საქმიანობის ხარისხი კვლავ წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას. კვლევითი საქმიანობის წახალისებისთვის, ასევე ფინანსური მხარდაჭერისთვის, შესაძლებელი გამოყენებული იყოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები, თუმცა, ამავდროულად მნიშვნელოვანია სადოქტორო განათლების მხარდაჭერა შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც უზრუნველყოფს სადოქტორო სწავლების ხარისხს, მკვლევართა ახალი თაობების ჩამოყალიბებას, ვინც წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებასა და ინოვაციებში; რეკომენდებულია დოქტორანტების დაფინანსების მექანიზმების შემოღება, არსებულ კონკურენტულ კვლევით გრანტებთან ერთად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Archibald, R. (2020). Cost disease, higher education. In P. N. Teixeira, & J. C. Shin (Eds.), *The International Encyclopedia of Higher Education Systems and Institutions* (pp. 245-249). Dordrecht: Springer.
- Archibald, R. (2020). Tuition fees, higher education. In P. N. Teixeira, & J. C. Shin (Eds.), *The International Encyclopedia of Higher Education Systems and Institutions*. Dodrecht: Springer.
- Chankseliani, M (2013). Spatial Inequalities in Higher Education Admissions in Georgia: Likelihood of Choosing and Gaining Access to Prestigious Higher Education Institutions. *Center for Social Sciences*. Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/256224120_Spatial_Inequities_in_Higher_Education_Admissions_in_Georgia_Likelihood_of.Choosing_and_Gaining_Access_to_Prestigious_Higher_Education_Institutions
- Gabrichidze, T. (2023). *The Factors of Impact of Funding and Financial Management in Higher Education on Quality of Education*. [სადოქტორო დისერტაცია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი].
- GEOSTAT. (n.d.). *Monetary Statistics: National Statistics Office of Georgia*. Retrieved April 2023, from National Statistics Office of Georgia Web Site: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/92/monetary-statistics>
- Herbst, M. (2020). Performance-based Funding, higher education in Europe. In P. N. Teixeira, & J. C. Shin (Eds.), *The International Encyclopedia of Higher Education Systems and Institutions* (pp. 2227-2235). Springer.
- Heller, R. F. (2022). The problem with universities today. *The Distributed University for Sustainable Higher Education* (pp. 5-37). Singapore: Springer.
- Jongbloed, B. (2010). *Funding Higher Education: A View Across Europe*. European Center for Strategic Management of Universities. ESMU.
- Johnstone, B. D. (2002). Challenges of financial austerity: imperatives and limitations of revenue diversification in higher education. *The Welsh Journal of Education*, 11(1), 18-36.
- Johnstone, B. D., & Marucci, P. N. (2010). *Financing Higher Education Worldwide. Who Pays? Who Should Pay?* Baltimore: The Johns Hopkins University Press.

- Johnstone, B. D. (2020). Cost-sharing in financing higher education. In P. N. Teixeira, & J. C. Shin (Eds.), *The Encyclopedia of Higher Education Systems and Institutions* (pp. 247-251). Dordrecht: Springer.
- Jooste, N. (2020). Internationalization of higher education, emerging economy perspectives. In P. N. Teixeira, & J. C. Shing (Eds.), *The International Encyclopedia of Higher Education Systems and Institutions* (pp. 1904-1920). Springer.
- Sporn, B. (2020). Competition in higher education. In P. N. Teixera, & J. C. Shin (Eds.), *The International Encyclopedia of Higher Education Systems and Institutions* (pp. 224-227). Dordrecht: Springer.
- Tabatadze, S. (2023). Higher education funding policy and research productivity of universities in Georgia. *Journal of Higher Education Theory and Practice*, 23(1), 171-183.
- Taylor, J. (2010). The response of governments and universities to globalization and internationalization in higher education. In F. Maringe, & N. Foskett (Eds.), *Globalization and Internationalization in Higher Education: Theoretical, Strategic and Management Perspectives* (pp. 83-97). London: Continuum International Publishing group.
- Toutkoushian, R. K., & Paulsen, M. B. (2016). *Economics of Higher Education. Backgrounds, Concepts and Applications*. Springer.

საჯარო სკოლების ავტორიზაცია - გამოწვევები განათლების სისტემაში

სერგო დურგლიშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

ზოგადი განათლების ხარისხი დიდი ხანია, ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ამ გამოწვევის დასაძლევად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებიდან ერთ-ერთია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა, რაც მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სისტამატიურ შეფასებასა და გაუმჯობესებას წინასწარ განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია 2011 წლის იანვარში დაიწყო კერძო სკოლებისათვის. ამ ეტაპზე ავტორიზაციას ექვემდებარებოდნენ მხოლოდ კერძო სკოლები. ავტორიზაციის ხანგრძლივობა იყო 5 წელი. 2016-2017 წლებში კერძო სკოლებმა განმეორებით გაიარეს ავტორიზაცია. საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ კერძო სკოლების ავტორიზაციას რამდენიმე წელში უნდა მოჰყოლოდა საჯარო სკოლების ავტორიზაცია, თუმცა აღნიშნული პროცესის დაწყება რამდენჯერმე გადაიდო, რადგან განათლების სისტემა ჯერ არ იყო მზად პასუხისმგებლობის ასაღებად, რომ ყველა სკოლის მატერიალური თუ ადამიანური რესურსი დააკმაყოფილებდა სტანდარტების მოთხოვნებს.

მასშტაბური მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ 2023 წლის იანვარში დაიწყო საჯარო სკოლების ავტორიზაცია. პროცესის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მასში ფაქტიურად განათლების სისტემის ყველა უწყება მონაწილეობდა. გარე შეფასებამდე „ახალი სკოლის“ პროგრამის ექსპერტები სკოლებს ეხმარებოდნენ თვითშეფასების განხორციელებაში და ანგარიშის მომზადებაში.

მიმდინარე ავტორიზაციის პროცესის მიზანია როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლების გარე შეფასება და მათი ფუნქციონირების შესაბამისობის დადგენა იმ აუცილებელ პირობებთან, რომელთა დაკმაყოფილება უზრუნველყოფს როგორც უსაფრთხო გარემოს, ისე სასწავლო პროცესის ხარისხს. სკოლა ოთხი სტანდარტის მიხედვით მოწმდება:

1. სკოლის ფილოსოფია;
2. სასკოლო კურიკულუმი;
3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა;
4. მოსწავლეთა მხარდაჭერა.

ეს ოთხივე სტანდარტი საკმაოდ ფართო სპექტრით იშლება და ყველა იმ კომპონენტს ფარავს, რომელიც გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე და უზრუნველყოფს მის ეფექტურობას.

ზოგადსაგანმანათლებლოდანესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება ოთხდონიანი შეკალით: „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ და „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მოქნილი შეფასების სისტემა ავტორიზაციის საბჭოს აძლევს საშუალებას, არ იყოს ხისტი, გაითვალისწინოს სკოლის კონკრეტული საჭიროებები და ძლიერი მხარეები, მიიღოს დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების ხელშემწყობი გადაწყვეტილება.

სკოლების გარე შეფასებას ახორციელებენ ავტორიზაციის ექსპერტები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი შედგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტებისგან. ყოველი ვიზიტისთვის დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე, მოადგილე (ინსტიტუციური შეფასების ექსპერტები), 9 საგნობრივი ექსპერტი. პროცესს მონიტორინგს უწევს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი ან ადგილობრივი რესურსცენტრის თანამშრომელი.

ავტორიზაციის პროცესის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 180 დღე. გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის საბჭო. საბჭო კოლეგიალური ორგანოა, გაზიარებული პასუხისმგებლობით და დამოკიდებულებებით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ – მინისტრი.

სკოლას ავტორიზაცია ენიჭება 9 წლის ვადით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულება მოწმდება გეგმური და/ან არაგეგმური მონიტორინგის გზით.

ავტორიზაციის პროცესი და განათლების სისტემის გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესი დაგეგმილ ვადებში მიმდინარეობს და უდაოდ, პოზიტიური მასშტაბური პროექტია, მას თან ახლავს სერიოზული გამოწვევები:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა ხშირად ვერ ასახავს სკოლის ინდივიდუალიზმს.
2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სპორტული ინფრასტრუქტურის, ლაბორატორიების, შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის, უფლებამოსილ ორგანისათან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის არ არსებობა და სხვა)
3. სკოლების მიერ წარმოდგენილი სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სრულად არ მოიცავს სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესის შეფასებას.
4. ვერიფიკაციის მექანიზმი ახალია სკოლებისთვის და სირთულეებს იწვევს
5. მატერიალური ბაზა არ უწყობს ხელს არაფორმალური განათლების ღონისძიებებს (ქალაქის სკოლებში ცვლებში სწავლება არ ტოვებს სივრცეს, სკოლები ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა კვებას)
6. საკლასო შეფასება – (როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი) რომელიც არაერთგვაროვანია და არ იძლევა ცალკეული მოსწავლისა და მთელი სკოლის მიერ მიღწეული შედეგები ობიექტური შეფასების შესაძლებლობას;
7. სასკოლო სასწავლო გეგმა უმეტეს შემთხვევაში, არ არის კლასის და ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული.

სკოლების ავტორიზაციის პროცესი 2027 წლისთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა, 2023 წლის 13 ნოემბერს ცნობილი გახდა, რომ სამინისტრო ავტორიზაციის ვადების გახანგრძლივებას გეგმავს და საჯარო სკოლების ეტაპობრივი ავტორიზაციის ვადა, 2026-2027 სასწავლო წლის დაწყების ნაცვლად, 2030-2031 სასწავლო წლის დასაწყისით განისაზღვრება. საერთო ჯამში, ავტორიზაციის პროცესში 2086 საჯარო სკოლა უნდა ჩართულიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველწლიურად საავტორიზაციო მზაობა, დაახლოებით, 600-მდე საჯარო სკოლას უნდა გამოეხატა. ინიცირებული ცვლილების შემდეგ კი, „პროცესი წარიმართება გეგმაზომიერად და, ყოველწლიურად, ავტორიზაციის პროცესში 200-დან 300 სკოლამდე ჩართვა იგეგმება,“ – აღნიშნულია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისთვის საჭირო ინსტიტუციური პირობები

ნათია გეგელაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება,
უნივერსიტეტი, უმაღლესი განათლება

ევროპაში უმაღლესი განათლების სისტემების ფართო რეფორმებიდან გამომდინარე, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება თანამედროვე უმაღლესი განათლების მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა. ესაა შედეგზე ორიენტირებული მიდგომა, რომელსაც მტკიცედ უჭერს მხარს ბოლონიის პროცესი. აღნიშნული პროცესი დაიწყო 1999 წლიდან და დღემდე აგრძელებს საგანმანათლებლო ლანდშაფტის ფორმირებას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, როგორც საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი ელე-მენტისთვის პრიორიტეტის მინიჭების გზით (Attard, Iorio, Geven, & Santa, 2010). მას შემდეგ, რაც 2005 წელს საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს, ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სწორედ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა და განხორციელება წარმოადგენს (გოგსაძე, 2015).

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარ იდეას წარმოადგენს ის, რომ სწავლების მოდელი სტანდარტიზებული მიდგომიდან გადადის ინდივიდუალურ და სტუდენტზე მორგებულ მიდგომაზე (Kaput, 2018). აღნიშნული მიდგომა სათავეს იღებს კონსტრუქტივისტული მიგნებებიდან, რაც ცოდნის მიღების პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართულობას გულისხმობს. გარდა ამისა, იგი ხაზს უსვამს თვითრეგულირებად და ავტონომიურ სწავლებას, რომელიც მიმდინარეობს სოციალური ინტერაქციის ფონზე. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სტუდენტის წინარე ცოდნა და გამოცდილება (Wulf, 2017). კონსტრუქტივისტული თეორიების

მიხედვით, სწავლის პროცესი უფრო ეფექტურია, როდესაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული სწავლის პროცესში და პასუხისმგებელი არიან იმაზე, თუ რას და როგორ სწავლობენ (Schweisfurth & Elliott, 2019).

თანამედროვე კვლევები აჩვენებს, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ზრდის სტუდენტების მოტივაციას სასწავლო პროცესში ჩართულობასთან მიმართებით (Gordon et al. 2022) და აუმჯობესებს ავტონომიას და რწმენას საგნის შესწავლის მიმართ (Kassem, 2019).

სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის პრაქტიკული გამოყენება აუდიტორიაში შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ელემენტებს მაგ. ჯგუფური პროექტები და პრეზენტაციები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, მეთოდისა და შემთხვევის ანალიზი, როლური თამაშები და ა.შ. (Attard et al. 2010). მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის დანერგვა უპირველეს ყოვლისა პედაგოგიური საზრუნავია, რომელსაც აკადემიური პერსონალი აუდიტორიებში ახორციელებს, ინსტიტუციურ დონეზე სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლა მოითხოვს თანმიმდევრულობას, ორგანიზებულობას და გამჭვირვალობას (Attard et al. 2010). შესაბამისად, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვას ხელი უნდა შეეწყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა რგოლში, რასაც ხაზს უსვამს კემბერი (2009), რომელმაც შეისწავლა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვისა და განხორციელების სტრატეგიები (Kember, 2009). ტრანსფორმაციის პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია თანამშრომლობა მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის. ეს მჭიდრო ურთიერთქმედება და ურთიერთთანამშრომლობა ცენტრალურ როლს თამაშობს მოსწავლეთა მოტივაციის გაღრმავებაში და გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაში (Attard et al. 2010). სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე გადასვლა მასწავლებლებისთვის არც ისე მარტივი პროცესია. ეს პროცესი განსაკუთრებით რთულია იმ მასწვალებლებისთვის, რომლებიც მასწავლებლზე ორიენტირებულ გარემოს არიან მიჩვეულნი და მათვის აღნიშნული ცვლილება ხშირად გამოწვევას წარმოადგენს (Deikelmann & Lampe, 2004). აქედან გამომდინარე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება მომდევნო მნიშვნელოვანი კომპონენტია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვისა და განხორციელებისათვის. შესაძლოა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ტრადიციულ იერარქიებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გარკვეული გაგებით იგი გვაძრუნებს ევროპული უნივერსიტეტის წარმოშობასთან, სადაც

სწორედ სტუდენტები იყვნენ უნივერსიტეტის მმართველი ძალა. უძველესი ევროპული უნივერსიტეტების, როგორიცაა ბოლონიისა და სორბონის დაარსება, ინიცირებული იყო სწორედ სტუდენტების მიერ (Attard et al. 2010). ლავოიე და კოლეგები (2007) აჩვენებენ მასწავლებლის პროფესიული განვითარების მნიშვნელოვან როლს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლასა და მის უწყვეტ განვითარებაში უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი ხაზს უსვამენ სასწავლებლის მხრიდან მოტივირებული აკადემიური პერსონალის როლს სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამავდროულად ლავოიე და კოლეგები (2007) აღნიშნავენ იმას, რომ ბევრ მასწავლებელს არ გააჩნია საჭირო ინფორმაცია და ინსტრუქციები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განახორციელოს ის თავის ყოველდღიურ აკადემიურ საქმიანობაში (Lavoie et al. 2007). როგორც ლავოიე და კოლეგების (2007), ასევე კემბერის (2009) მიხედვით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები გადამწყვეტ როლს თამაშობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის განხორციელების ხელშეწყობაში. ეს პროგრამები შექმნილია როგორც ახალი მასწავლებლებისათვის, ასევე გამოცდილი პედაგოგებისთვის და ხაზს უსვამს სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის ბუნებას, როგორც მიდგომას, რომელიც მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას, ცვლილებას და განახლებას (Kember, 2009; Lavoie et al. 2007).

სწავლისა და სწავლების მეთოდების განვითარებასთან ერთად ვითარდება ცოდნის გავრცელების მიდგომები და სტუდენტების მიერ სწავლის/ცოდნის მიღების პროცესში გამოყენებული საშუალებები. ეს აშკარაა ონლაინ დისტანციური სწავლების მზარდი გავრცელებით განათლებაში და კომპიუტერების, ინტერნეტისა და ონლაინ ინტერაქტიული პლატფორმების ფართოდ გამოყენებაში სწავლა-სწავლების პროცესებში. გარდა ამისა, ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში, ბევრმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო საინფორმაციო მართვის მოწინავე სისტემები მათი საგანმანათლებლო პროცესების გასაუმჯობესებლად (Arko-Cobbah, 2004).

სტუდენტზე ორიენტირებული მიგომის წარმატებით დანერგვისა და განხორციელების პროცესში არ უნდა დაგვავინვყდეს შესაბამისი ინფრა-სტრუქტურის არსებობა, რომელშიც გაერთიანებულია მედიის სხვადასხვა ფორმები: ციფრული, ბეჭდური და მულტიმედია. აკრო-კობაჰის (2004) მიხედვით, *ICT* (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) ცენტრალური კომპონენტია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ინსტრუქციებით მიმდინარე სასწავლო პროცესში. ტექნოლოგია მნიშვნელოვან

როლს ასრულებს როგორც საკლასო ოთახში, ისე მის გარეთ, ეხმარება მასწავლებლებს ინტერაქტიული სასწავლო გარემოს შექმნაში და მოსწავლეთა სასწავლო პროცესების გაძლიერებაში (Arko-Cobbah, 2004).

მუიანგა და კოლეგებმა (2019) გამოიკვლიეს თუ რა გავლენას ახდენს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებაში. პედაგოგები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს თვლიან, რომ ICT მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტების შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების საერთო ხარისხის გაუმჯობესებაში (Muianga et al. 2019). კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ როგორც პედაგოგიურ, ასევე ტექნოლოგიური ცოდნის დომენებს ცენტრალური ადგილი უკავიათ სასწავლო პროგრამების შემუშავებისას. პედაგოგიური და ტექნოლოგიური ცოდნის ურთიერთკავშირის შედეგად მასწავლებელი ითავისებს თუ რა მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიას პედაგოგიური კუთხით და აცნობიერებს ტექნოლოგიის გამოყენების პოტენციალს სასწავლო პროცესში (Muianga et al. 2019).

საინფორმაციო სისტემებსა და ტექნოლოგიებთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს ბიბლიოთეკის მნიშვნელობა სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასთან მიმართებაში. უმაღლესი განათლების ლანდშაფტში სტუდენტზე ორიენტირებული პარადიგმების გაჩენამ და სწავლისა და სწავლების ახალი მეთოდოლოგიების მიღებამ მოითხოვა ბიბლიოთეკების და ბიბლიოთეკარების როლებისა და პასუხისმგებლობების ხელახალი შეფასება (Virkus & Metsar, 2004). აკრო-კობაპი (2004) უზრუნველყოფს ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარების როლის მკაფიო განსაზღვრას, ხაზს უსვამს მათ ცენტრალურობას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პროცესში, განსაკუთრებით ოთხ მნიშვნელოვან სფეროში (Arko-Cobbah, 2004):

საინფორმაციო რესურსების მიწოდება: ბიბლიოთეკების ჩვეულებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შერჩევას, ორგანიზებას, შენახვას და მოძიებას, უფრო დიდ მნიშვნელობას იდენტი, რადგან საჭიროება ჩნდება, რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს როგორც კამპუსის შიგნით, ასევე მის გარეთ (Arko-Cobbah, 2004).

მეორე საკვანძო სფეროს წარმოადგენს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ბიბლიოთეკარების წახალისებას, ხელიშეუწყობუფრო მჭიდროთანამშრომლობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა დეპარტამენტის პერსონალთან, მათ შორის სასწავლო გეგმების შედგენაში ჩართულ ფაკულტეტის წევრებთან. ყოველივე ამის მიზანია, ბიბლიოთეკარები დაეხმარონ აკადემიურ

პერსონალს ტექნოლოგიების ინოვაციურ გამოყენებაში სასწავლო პროცესის განვითარებაში, დაეხმარონ მათ შესაფერისი ტექნოლოგიური რესურსების შერჩევაში და აქტიურად ითანამშრომლონ სასწავლო საზოგადოებასთან ეფექტური ტექნოლოგიური გეგმის სტრატეგიის შემუშავების, დანერგვისა და მუდმივად გასაუმჯობესებლად, რაც სრულად შესაბამება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს (Arko-Cobbah, 2004).

მესამე საკვანძო სფეროს წარმოადგენს სტუდენტთა საინფორმაციო წიგნიერების უნარების განვითარება მასწავლებლებთან ერთად: იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტები ფლობდნენ საჭირო უნარებს, ამოიცნონ თავიანთი საინფორმაციო საჭიროებები, ამოიცნონ შესაბამისი ინფორმაცია პრობლემის გადასაჭრელად და ეფექტურად მოიძიონ, შეაფასონ და გამოყენონ იგი, აუცილებელია ბიბლიოთეკარები დახელოვნებულნი იყვნენ როგორც ინდივიდუალური მოთხოვნების, ასევე ტექნოლოგიის სწორად გამოყენების საკითხებში. ეს ცოდნა აუცილებელია ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დასაცავად (Arko-Cobbah, 2004).

საინფორმაციო პროგრამების შემუშავება აკრო-კობაჰის (2004) მეოთხე საკვანძო სფეროა: სტუდენტებისა და მასწავლებლების სხვადასხვა საინფორმაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, გადამწყვეტია ბიბლიოთეკის შენობის ფიზიკურ საზღვრებს მიღმა მარტივად ინფორმაციის წვდომის საშუალებების შექმნა (Arko-Cobbah, 2004). მიუხედავად იმისა, რომ არკო-კობაჰის კვლევა უახლესი არ არის, მისი შედეგები შეიცავს პუნქტებს, რომლებიც დღესაც აქტუალურია.

ზემოთ აღნირილი ინსტიტუციური პირობები გადამწყვეტია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების წარმატებით განხორციელებისათვის, რადგან სწორედ ეს პირობები ქმნიან აღნიშნული მიდგომის წარმატებით განხორციელებისთვის ხელსაყრელ გარემოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Arko-Cobbah, A. (2004). The role of libraries in student-centred learning: the case of students from the disadvantaged communities in South Africa. *The International Information & Library Review*, 36(3), 263-271.

Attard, A., Di Iorio, E., Geven, K., & Santa, R. (2010). Student centered learning: An insight into theory and practice. Partos Timisoara, Bucharest, 6-15.

- Diekelmann, N., & Lampe, S. (2004). Student-centered pedagogies: Co-creating compelling experiences using the new pedagogies. *Journal of Nursing Education*, 43(6), 245-247.
- Gordon, S. J., Bolwell, C. F., Raney, J. L., & Zepke, N. (2022). Transforming a didactic lecture into a student-centered active learning exercise—teaching equine diarrhea to fourth-year veterinary students. *Education Sciences*, 12(2), 68.
- Kaput, K. (2018). Evidence for Student-Centered Learning. *Education evolving*.
- Kassem, H. M. (2019). The Impact of Student-Centered Instruction on EFL Learners' Affect and Achievement. *English language teaching*, 12(1), 134-153.
- Kember, D. (2009). Promoting student-centred forms of learning across an entire university. *Higher education*, 58, 1-13.
- Lavoie, D., & Rosman, A. J. (2007). Using Active Student-Centered Learning-Based Instructional Design to Develop Faculty and Improve Course Design, Delivery, and Evaluation. *Issues in Accounting Education*, 22(1), 105-118.
- Muianga, X. J., Barbutiu, S. M., Hansson, H., & Mutimucuio, I. V. (2019). Teachers' Perspectives on Professional Development in the Use of SCL Approaches and ICT: A Quantitative Case Study of Eduardo Mondlane University, Mozambique. *International Journal of Education and Development using Information and Communication Technology*, 15(2), 79-97.
- Schweisfurth, M., & Elliott, J. (2019). When 'best practice' meets the pedagogical nexus: Recontextualisation, reframing and resilience. *Comparative Education*, 55(1), 1-8.
- Virkus, S., & Metsar, S. (2004). General introduction to the role of the library for university education. *LIBER Quarterly: The Journal of the Association of European Research Libraries*, 14(3-4).
- Wulf, C. (2019). "From Teaching to Learning": Characteristics and Challenges of a Student-Centered Learning Culture. In: Mieg, H.A. (eds) *Inquiry-Based Learning – Undergraduate Research*. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-030-14223-0_5
- გოგსაძე, გ. (2015). სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა. თბილისი: https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/studentze-orinetirebuli.pdf

სასკოლო კვების დანერგვის პერსპექტივები საქართველოში

გიორგი ჭანტურია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის
განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

სასკოლო კვების პრობლემაზე პირველად 2018 წელს გავიგე, როდესაც ლადო აფხაზავა მასწავლებლის გლობალური ჯილდოს 2019 წლის საუკეთესო 50 მასწავლებელს შორის, შემდგომ კი ფინალისტებში მოხვდა. მის შესახებ ინფორმაციაში ეწერა, რომ ის საკმაოდ მძიმე სოციო-ეკონომიკური გამოწვევების მქონე რეგიონში მუშაობს და მის სკოლაშიც, მოსწავლეთა შიმშილის გამო ხშირად უწევთ სასწრაფო დახმარების გამოძახება (Global Teacher Prize, 2022). ამ დროიდან 5 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, სასკოლო კვების პროგრამა საქართველოში კვლავ არ არის დანერგილი.

მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხი საქართველოში ბოლო წლებია საკმაოდ აქტუალური გახდა. ამ მხრივ, 2021 წელს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ გამოქვეყნდა ერთ-ერთი პირველი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ფაქტობრივად საფუძვლად დაედო საზოგადოებრივ კამპანიას, რომელსაც სამოქალაქო სექტორი 2021 წლიდან აქტიურად ეწევა.¹

ამის პარალელურად, სახელმწიფოს მიერ არაერთხელ აღინიშნა კვების პროგრამის მნიშვნელობისა და მის დანერგვაზე მუშაობის შესახებ (რადიო თავისუფლება, 2021; პუბლიკა, 2022; პუბლიკა, 2023). მიუხედავად ამისა, ჯერ-ჯერობით, პროგრამის დანერგვა დაწყებული არ არის და არც პოტენციური თარიღია ცნობილი.

მეთოდოლოგია

აღნიშნული აბსტრაქტი მიმოიხილავს სასკოლო კვების მნიშვნელობასა და საჭიროებას საქართველოს კონტექსტში; ასევე განხილულია საერთაშორისო გამოცდილება და პროგრამის სხვადასხვა მოდელები. სტატია მომზადებულია თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, მეორე ანალიზის მეთოდით.

¹ იხ. განათლების კოალიციის, მშობელთა ასოციაციისა და მოძრაობა ხმის კამპანიები.

გაანალიზებულია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კვლევები და ლიტერატურა, პოლიტიკის დოკუმენტები და თემატური ანგარიშები, წარმოდგენილია შესაბამისი მიგნებები და რეკომენდაციები.

სასკოლო კვების მნიშვნელობა

პანდემიის შემდეგ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა კლუბებისა და წრეების ფუნქციონირება. მათი საშუალებით ვცდილობთ უფრო სახალისო გარემოში მოსწავლეებს შევუძიროთ სასწავლო დანაკარგები და ცოტა ამოვქაჩოთ, მაგრამ ისეთი მშივრები არიან, რომ აზრი არ აქვს არაფერს – მასწავლებელი (განათლების კოალიცია, 2024).

სასკოლო კვება გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა კვებას სასწავლო დღის განმავლიბაში, რომელსაც ორგანიზებული და სისტემური ხასიათი აქვს. პირველ რიგში, აღნიშნულის მიზანია მოსწავლეთათვის დაბალანსებული კვების უზრუნველყოფა, რაც მათ დახმარებათ აკადემიური მოსწრების ზრდასა და ჯანმრთელობის დაცვაში (განათლების კოალიცია, 2023).

„მოსწავლეების ნაწილი ადგილობრივ საცხობში ყიდულობს ლობიანს და პიცას. ეს პიცა განსაკუთრებით მავნებელი, რადგან ძირითადად შეიცავს ცხარე ტომატ პასტას, მაიონეზსა და გაურკვეველი წარმოშობის ძეხვეულს, რისი მშერზე მიღებაც მოსწავლეების კუჭ-ნაწლავს მნიშვნელოვნად აზიანებს. მნიშვნელოვანია, რომ თუ კვებაზე ვსაუბრობთ, ეს იყოს აუცილებლად ჯანსაღი საკვები – სკოლის ექიმი (განათლების კოალიცია, 2024).

მსოფლიო სასურსათო პროგრამის (WFP) მიხედვით, სასკოლო კვება ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის მექანიზმია მსოფლიოში, რომელსაც შეუძლია მოსწავლეთა და მათი ოჯახების ცხოვრების ტრანსფორმაცია (WFP, 2022). საერთაშორისო კვლევების მიხედვით, სასკოლო კვების პროგრამები არის ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან საგანმანათლებლო ინტერვენციებს შორის, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ, როგორც სკოლაში დასწრების (10%-ით იზრდება დასწრება ისეთ სკოლებში, სადაც სასკოლო კვების პროგრამა არსებობს) ასევე აკადემიური მოსწრების კუთხით. ამავდროულად, ბავშვები, რომლებიც ჯანსაღ სასკოლო კვებას იღებდნენ, უფრო მაღალ ენობრივ ცოდნას აჩვენებდნენ, ვიდრე ისინი – ვისაც სახლიდან მოჰქონდათ საკვები (WFP, 2022).

სკოლაში კვება მნიშვნელოვანი წინაპირობაა, როგორც ბავშვების ჯანმრთელობის, ისე საგანმანათლებლო მიზნების ეფექტიანად მიღწევისათვის. ამავდროულად, ყოველ \$1-ის ინვესტიციას სასკოლო კვების პროგრამაში

3-დან \$10-მდე ეკონომიკური სარგებელი მოაქვს გაუმჯობესებული ჯანმრთელობით, განათლებითა და პროდუქტიულობით (WFP, 2022).

სასკოლო კვების პროგრამებს თავისთავად ასევე შეუძლია შექმნას დასაქ-მების შესაძლებლობები და გააუმჯობესოს სკოლების მახლობლად მცხოვრები თემის საარსებო საშუალებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასკოლო კერძები ადგილობრივად არის მომზადებული (FAO, 2019; GCNF, 2019).

შეჯამებისათვის, ყოველდღიური სასკოლო კვება:

- დადებით გავლენას ახდენს აკადემიურ მიღწევებზე;
- ზრდის სკოლაში მოსწავლეთა დასწრებას;
- აუმჯობესებს მოზარდების ფიზიკურ განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას
- ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლის ჩართვას არაფორმალური განათლების აქტივობებში;

ამ და სხვა მიზანებიდან გამომდინარე, სასკოლო კვება განსაკუთრებით აქტუალური ხდება მთელს მსოფლიოში. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემია პანდემიის შემდგომ, როგორც სასკოლო დანაკარგების რემედიაციის მხარდამჭერი ინსტრუმენტი, ასევე ზოგადად სკოლის სოციალური ფუნქციის გაძლიერებისა და სოციალური დაცვის მექანიზმი.

საერთაშორისო კონტექსტი

აღმოვაჩინე, რომ ჩვენს მეზობელ სომხეთში, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი ჩამორჩება ჩვენსას, ყოფილა უფასო კვების პროგრამები. შესაბამისად, საუბარია იმაზე, რომ რაღაც რესურსი არ არსებობს, არასერიოზულია. ამ შემთხვევაში, ნებაა მნიშვნელოვანი სახელმწიფოს მხრიდან – მასწავლებელი (განათლების კოალიცია, 2024).

სასკოლო კვების პროგრამები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მოქმედებს.

ბოლომონაცემებით, მთელს მსოფლიოში 418 მილიონი ბავშვი იღებს საკვებს სასკოლო კვების პროგრამის მეშვეობით. ქვეყნების უმრავლესობისათვის სასკოლო კვების პროგრამები განათლების ხელშეწყობასთან არის დაკავშირებული, თუცმა გამოყოფენ სხვა მიზნებსაც, ესენია: ჯანმრთელობის გაუმჯობესება, სოციალური დაცვა, სოფლის მეურნეობის განვითარება და ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა, სიმსუჟის შემცირება (GCNF, 2019).

რაც შეეხება უშუალოდ პროგრამის ფორმირებას, მასზე გადამწყვეტი

მნიშვნელობა აქვს სამიზნე ჯგუფს და მათ რაოდენობას, მაგ. იქნება ეს უნივერსალური თუ კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფები, ერთ მუნიციპალიტეტზე თუ საყოველთაოდ და ა.შ; გადა ამისა, მნიშვნელოვანია კვების მოდელის განსაზღვრა, მაგ., იქნება ეს საკვების ადგილზე დამზადება თუ სადილის ყუთები; შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული საკითხი ხდება პროგრამის მართვა, ლოგისტიკა და დაფინანსება.

მოდელების მხრივ, შეიძლება გამოიყოს შემდეგი მათგანი:

- სკოლაში კვება;
- სადილის ყუთი, ე.წ. ლანჩოქსები;
- ფორტიფიცირებული კვება;
- სახლში წასალები ულუფები;
- ადგილობრივი პროდუქტის გამოყენებაზე ორიენტირებული მოდელი (home grown school meal)
- მიკრონუტრინგების ფხვნილი.

ალსანიშნავია, რომ 2024 წლიდან, სასკოლო კვების პროგრამების ნახევარზე მეტი უნივერსალური იქნება, რაც ნიშნავს რომ ყველა მოსწავლეს შეეხება, განურჩევლად მათი სოციო-ეკონომიკური თუ სხვა სტატუსისა. მიუხედავად ამისა, დაახლოებით 73 მილიონი ბავშვი სასკოლო კვების გარეშე რჩება (WFP, 2022).

საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, პანდემიის პერიოდში, 2020 წელს დაფუძნდა სასკოლო კვების კოალიცია, რომელიც 70-ზე მეტი ქვეყნის ლიდერების მიერ დაფუძნდა და მათივე ხელმძღვანელობით იმართება. გაერთიანების მიზანი მთელს მსოფლიოში სასკოლო კვების პროგრამების განვითარება და მათი დანერგვის გაფართოებაა. თავის მხრივ, სასკოლო კვება აღქმულია როგორც საზოგადოების მდგრადი სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა.²

გარდა უშუალოდ სკოლაში კვებისა, ეს იქნება ადგილზე დამზადებით თუ სადილის ყუთებით, სასკოლო კვების პროგრამები შეიძლება მოიცავდეს სახლში წასალები რაციონის განაწილებას. ბურკინა ფასოში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ სტუდენტების უმცროს და-ძმებს, რომლებსაც სახლში მიჰკონდათ საკვები მნიშვნელოვნად მეტ წონას აფიქსირებდნენ ვიდრე საკონტროლო ჯგუფში. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ეს შედეგი უფრო მაღალი იყო, ვიდრე შინამეურნეობისათვის გაცემული ფულადი დახმარებისას მიღებული სარგებელი (კაზიანგა და სხვები, 2014).

2 <https://schoolmealscoalition.org/>

ასევე, მზარდი ყურადღება ეთმობა სკოლების პოტენციალს, რომ გახდეს ჯანსაღი დიეტისა და კვების ჩვევების შესახებ ცნობიერების ამაღლების პლატფორმა (გლობალური პანელი სოფლის მეურნეობისა და კვების სისტემების კვებისათვის, 2015; GCNF, 2019; FAO, 2019).

რაც შეეხება კონკრეტულ მაგალითებს, აღნიშნული პროგრამები არსებობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით (GCNF, 2019). მაგალითად:

- ფინეთში სასკოლო კვების პროგრამა მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ძალიან მაღე, 1948 წელს დაიწყო. გარდა კვებითი მნიშვნელობისა, პროგრამა გამოყენებულია როგორც პედაგოგიური ინსტრუმენტი ჯანსაღი ცხოვრების წესის, მანერებისა და კვების კულტურის სასწავლებლად. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო კვების ორგანიზება ასევე მოიაზრებს მოსწავლეებისა და მშობლების ჩართვას თავად პროცესში. პროგრამის მონიტორინგზე პასუხისმგებლებლი კი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები არიან.
- სომხეთში პროგრამის განხორციელება რამდენიმე წელია რაც დაიწყო. ისინი ცდილობენ აღნიშნული განათლების პოლიტიკაში ერთერთ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხად აქციონ და ამით გააუმჯობესონ ქვეყნის განათლების და ჯანდაცვის დონე და ამავე დროს, ხელი შეუწყონ სიღარიბის აღმოფხვრას. ამჟამინდელი მონაცემებით, სომხეთის ათ პროვინციაში 106000-ზე მეტ ბავშვს აქვს შესაძლებლობა სკოლაში ცხელი ლანჩი მიირთვას, როცა 2010 წელს ეს რიცხვი მხოლოდ 12000-ს შეადგენდა (CTC, 2023).
- საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებაც, რომელიც 1946 წელს „ნაციონალური სკოლის აქტით“ დაიწყო. დღესდღეობით, სხვადასხვა შტატში სხვადასხვა მიდგომა გამოიყენება, თუმცა აქცენტი სასკოლო კვების მოდელებიდან საკვების სკოლაში დამზადებაზე კეთდება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია როგორც ადგილობრივი, ისე ფედერალური ხელისუფლება და ორგანიზაციები. დაფინანსების მხრივ, გამოიყენება ე.ნ. შერეული მოდელი, სრული მიზნობრივი და თანადაფინანსება მშობლებისა და სკოლების მხრიდან.
- საფრანგეთში კვებისათვის გამოყოფილია შესაბამისი დრო, ნახევარი საათი, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა სოციალიზაციისათვის. შესაბამისი საკანონმდებლო ლიმიტებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს სასკოლო კვების ღირებულებას და ახორციელებს რეგულაციებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

საქართველოს კონტექსტი

ერთია, როდესაც მოსწავლე სკოლის დროს არის მშიერი და მეორე, როდესაც ბავშვი სახლშიც ვერ იღებს ნორმალურად საკვებს. სამწუხაროდ, ასეთი მოსწავლეები ჩვენთან მრავლად არიან – სკოლის ექიმი (განათლების კოალიცია, 2024).

„ერთი მოსწავლე მყავდა, ზარი რომ დაირეკა ეზოში დარჩა. გაკვეთილზე არ შემოვიდა. რომ გავარკვიე აღმოჩნდა რომ შიოდა და ცდილობდა ხის კენწეროდან მსხლის რამენაირად ჩამოგდებას“ – მასწავლებელი (განათლების კოალიცია, 2024).

საქართველოში გამოკითხულ მოსწავლეთა 77% ამბობს, რომ სკოლაში მისვლის დროს ხანდახან (42%) ან ყოველთვის (35%) განიცდის შიმშილის გრძნობას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს წიგნიერებაში მათ დაბალ შედეგებზე (კოკილაშვილი, 2020).

2023 წლის მონაცემების მიხედვით, მთლიანი მოსახლეობის ისევე როგორც მოსწავლეთა თითქმის 20% მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ქვეყნისათვის. ამავდროულად, სიღარიბის მაჩვენებლის მიხედვით, ბავშვები მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენენ (ბრეგვაძე, აფხაზავა და ღვამიჩავა, 2021).

საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოზარდების ორგანიზმში ისეთი მიკროელემენტების ნაკლებობა, როგორიცაა რკინა და იოდი, რაც მათ ზრდის, განვითარებისა და ანემის საშიშროებას უქმნის. ბავშვები ვერ იღებენ შესაბამის დაბალანსებულ კვებას. მეტწილად იკვებებიან უფრო ხელმისაწვდომი მაღალკალორიული, მაგრამ ნაკლებნუტრიციული საკვებით. აღნიშნული კი ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ფიზიკური განვითარების ყურადსალებ რისკებს წარმოადგენს (განათლების კოალიცია, 2023).

ამ ფონზე, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო შეფასებების მიხედვით, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები საკმაოდ დაბალია. იკვეთება მაღალი უთანასწორობა როდესაც, მნიშვნელოვანი განსხვავებებია მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსისა და დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეთა მიღწევებში (კოკილაშვილი, 2020).

აღნიშნულის პირობებში, ნიშანდობლივია, რომ სკოლების თითქმის 60% საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ რეაბილიტაციას, ახალი სკოლის მშენებლობას ან რემონტს (CCIIR, 2024).

ძირითადი მიგნებები და დასკვნები

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, სასკოლო კვება მნიშვნელოვანი წინაპირობაა როგორც ბავშვების ჯანმრთელობის, ისე საგანმანათლებლო მიზნების ეფექტიანად მიღწევისათვის. აღნიშნული, როგორც სოციო-ეკონომიკური მდგომარეობიდან ისე სხვა შესაბამისი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით რელევანტურია საქართველოს კონტექსტისათვის. შესაბამისად:

აუცილებელია აღნიშნული პროგრამის დროულად დაწყება. არსებული ვითარების მიხედვით (მაგ. სკოლების გაუმართავი ინფრასტრუქტურა),

- ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ე.წ. სადილის ყუთების სკოლებისათვის მიწოდებაა. მეორე მხრივ, სადილის ყუთთან ერთად, კონკრეტულ შემთხვევებში, იქ სადაც აღნიშნულის შესაძლებლობა იქნება, სასურველია გამოყენებული იყოს სხვა მოდელი, მაგ. ადგილზე დამზადება.
- ქვეყნის გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ინფრასტრუქტურული თუ ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით, სასკოლო კვების დაწერვის მიდგომა შესაძლებელია დიფერენცირებული იყოს. მაგალითად, მსხვილ ქალაქებში შესაძლოა იმუშაოს დისტრიბუციის სისტემამ, ხოლო მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებულ ადგილებში – თემზე დაფუძნებუმა მიდგომებმა და მცირე საოჯახო მიმწოდებლებმა.
- ერთ-ერთი სირთულე რაც კვების პროგრამის დანერგვას უკავშირდება, ეს არის კვების მიწოდების ლოგისტიკის სირთულეები, იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონებში და მათ შორის თბილისშიც, სკოლებში სხვადასხვა კონტექსტი და სხვადასხვა სიტუაციაა.
- ამჟამად ვხედავთ რომ სხვადასხვა ჯგუფები ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად მუშაობენ ამ საკითხებზე და ნაკლებია კოორდინირებული მოქმედება. აქედან გამომდინარე, მათი ძალთა გაერთიანება თუ გამოცდილებების გაზიარება დამატებითი ძალისხმევა და მნიშვნელოვანი შენამატი იქნება კვების პროგრამის დანერგვის კუთხით, რაც საბოლოო ჯამში, გაზრდის წესს გადაწყვეტილების მიმღებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ბრეგვაძე, თ., აფხაზავა, რ. & ლვამიჩავა, რ. (2021). საქართველოში სასკოლო კვების სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება და პერსპექტივები. თბილისი, საქართველო. კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი.

კოკილაშვილი, 2020. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018: საქართველოს ანგარიში. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA 2018): საქართველოს მოსწავლეთა მიღწევები კითხვაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

მოძრაობა „ხმა,“ (2023). უფასო სასკოლო კვების 4 პრინციპი. ხელმისაწვდომია: <https://www.gezimag.ge/coming-soon-03>

მოძრაობა „ხმა,“ (2022). რა ღირს უფასო სასკოლო კვება? საორიენტაციო ბიუჯეტი. https://www.gezimag.ge/post/17-12-2022?fbclid=IwAR1W8933UWn93Vn-AiqxJtO5NGxfkIed0GnKBCaTMTNzJHWe7A6OGIuH-70_aem_AZvineRebhJYOdL3oVG_RXhzX8lNe_V4y3d8KuhbvXE_rORI2bDsjdu195KP9v5RaDWLomK0a4zX9qpQdORyexV

ონლაინ გამოცემა „პუბლიკა,“ (2022). ჩხენკველი სასკოლო კვებაზე: განიხილება კვების მიწოდების სხვადასხვა მოდელი. <https://publika.ge/chkhenkeli-saskolo-kvebaze-ganikhileba-kvebis-miwodebis-skhvadaskhva-modeli/>

ონლაინ გამოცემა „პუბლიკა,“ (2023). ამილახვარი სასკოლო კვებაზე: შევქმნით პროგრამა, რომელიც შეისწავლის სკოლის შესაძლებლობებს. <https://publika.ge/i-saskolo-kvebaze-shevqmenit-programma-romelic-sheiswavlis-skolebis-shesadzleblobebebs/>

ოქსფამი, (2016). კვების ეროვნული კვლევა საქართველოში, http://www.bridge.org.ge/uploads/files/docs/8570Oxfam_Nutrition_Research_ge.pdf

რადიო თავისუფლება, (2021). ჯანდაცვის მინისტრი ამბობს, რომ 2 წელია მუშაობენ სკოლებში უფასო კვების საკითხზე – რას გულისხმობს ის. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31530094.html>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, (2018). წყალსა და სანიტარიაზე უფლების ხელმისაწვდომობა საქართველოს საჯარო სკოლებში. სპეციალური ანგარიში.

Global Child Nutrition Foundation (GCNF), (2019). School Meal Programs Around the World: Report Based on the Global Survey of School Meal Programs.

FAO, (2020). School-based food and nutrition education – A white paper on the current state, principles, challenges, and recommendations for low- and middle-income countries. Rome. <https://doi.org/10.4060/cb2064en>

FAO, (2019). Nutrition guidelines and standards for school meals: a report from 33 low and middle-income countries. Rome. 106 pp. Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO.

WFP, (2022). State of School Feeding Worldwide 2022. Rome, World Food Programme. ISBN 978-92-95050-16-7

სპეციალური განათლების მასწავლებლის როლი სკოლაში, ძირითადი გამოცვევები და მათი გადაზრის გზები

**ნათია ნიაური¹, თეონა თარგამაძე², ხატია ცოცხალაშვილი²
მარიამ დვალი² მაია გიგაური²**

¹, სპეციალური განათლების პედაგოგთა ასოციაციის „დამფუძნებელი,

აღმოსავლეთ-ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

² სპეციალური განათლების მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სპეციალური მასწავლებელია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან საგნის მასწავლებლთან ერთად ასწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს/მოსწავლეებს ან/და ინდივიდუალურად/ჯგუფურად მუშაობს მასთან/მათთან სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და სხვადასხვა უნარის განვითარების მიზნით („საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლი 21³)

საგანმანათლებლო სივრცეში მისი ძირითადი მოვალეობებია: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიკაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში და განხორციელებაში მონაწილეობა, ეფექტიანი კომუნიკაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრებთან, სსსმ მოსწავლის ტრანზიციის ხელშეწყობა, სსსმ მოსწავლის რთული (არასასურველი) ქცევის მართვა, სსსმ მოსწავლის განათლების ადვოკატირება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და ი.ს.გ ჯგუფის წევრების კონსულტაცია და პროფესიული განვითარება.

აღნიშნულ ცოდნის და უნარ-ჩვევას მომავალი სპეციალური მასწავლებელი უნივერსიტეტის ბაზაზე უნდა იღებდეს, თუმცა ამ ეტაპზე სპეციალური მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამა მიღევადია. ერთ-ერთი დიდი გამოწვევა ცნობიერების დაბალი დონე და არაკვალიფიციური კადრია. პრაქტიკამ აჩვენა რომ ყველაზე გლობალური პრობლემა სპეციალისტთა არაკოორდინირებული მუშაობაა რაც საბოლოოდ არაეფექტურის ხდის საგნის მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით დასაქმებული სპეციალისტების (პირადი ასისტენტი,

ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი და ა.შ) მუშაობას. ასევე, კვლავ დიდი გამოწვევაა საგანმანათლებლო სივრცეში დასაქმებული სპეციალური მასწავლებლების პროფესიული ზრდის და მხარდამჭერი პროგრამების არარსებობა. ასევე არ არსებობს სახელმწიფო დონეზე მათი კონსულტირების და სუპერვიზის სერვისები. აქედან გამომდინარე ასოციაციის ფარგლებში 2020-2023 წლებში მოწვეულ იქნენ დარგის სპეციალიტები რომელთაც სპეციალურ მასწავლებლებს გაუზიარეს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება. დაიგეგმა და ჩატარდა ვებინარები და კვალუფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები შემდეგ თემებზე: მოსწავლის არასასურველი ქცევის მართვა, აუტიზმის სპექტრის აშლილობა და სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები, სპეციალური მასწავლებლის პროფესიული ეთიკა, მშობელთან ეფექტიანი თანამშრომლობა და სხვ. 2024 წლიდან დაგეგმილია ორი სატრენინგო მოდული სკოლაში მომუშავე აკადემიური პერსონალისთვის ესენია: 1. ენაზე დაფუძნებული დასწავლის სირთულის მქონე მოსწავლის საჭიროების იდენტიფიკაცია და ინტერვენციის გეგმა; 2. „მეგობართა წრე“ და მისი გავლენა სპეციალური საგანმანათლებლო საჭროების მქონე მოსწავლის კლასელებთან სოციალური ინტერაქციის განვითარებაში.

ენაზე დაფუძნებული დასწავლის სირთულის მქონე მოსწავლის აკადემიური ჩართულობა ქართულის გაკვეთილზე

სასკოლო სივრცეში ხშირად ვხვდებით ბავშვებს, რომლებსაც კოგნიტური უნარები საკმაოდ კარგად აქვთ განვითარებული, მაგრამ სირთულეები აღენიშნებათ ენის გაება – გამოყენებაში, ასევე, აკადემიურ (Conti-Ramsden and et al. 2009, 15-35) და სოციალურ სფეროებში (Lindsay and Dockrell 2012, 445-460). ასეთ დროს, ხშირ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ენაზე დაფუძნებული სწავლების სირთულესთან (LLD)³. LLD ხშირად ასოცირდება სიზარმაცესთან, უკიდურეს სიმორცხვესთან, შფოთვასთან, ქცევით და ასევე, სხვადასხვა განვითარების სირთულეებთან (Goh Kok Yew and O'Kearney 2013, 516-524). თუმცა, სინამდვილეში, LLD ფსიქოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული ისეთი სირთულეა, რომელიც კავშირშია ზეპირი ან წერილობითი ენის გაება/ გამოყენებასთან, რაც შეიძლება გამოხატული იყოს: მოსმენის, გააზრების, საუბრის, კითხვის, წერის, დამარცვლის (ფონოლოგიური სირთულეები) და ასევე მათემატიკური ანგარიშის სირთულეებით (Paul and Norbury 2018, 399).

3 Language Learning Disability (LLD)

LLD-ის შესახებ ქართულ ენაზე მხოლოდ ერთი, მცირე ზომის ნათარგმნი სახელმძღვანელო – „სპეციფიკური ენობრივი დარღვევები“ არსებობს. საქართველოში არ იყო ჩატარებული არც ერთი კვლევა, რომელიც რაიმე სახით კავშირში იქნებოდა ენაზე დაფუძნებული დასწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებთან. საყურადღებოა საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩატარებული კვლევების სტატისტიკური მონაცემები LLD-ის გავრცელების შესახებ, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 30 ბავშვისგან დაკომპლექტებულ კლასში, მინიმუმ, ორს აღენიშნება (Norbury et al, 2016), რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. აღნიშნული მიზეზებისა და საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი და კვლევა ენაზე დაფუძნებული დასწავლის სირთულის მქონე მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის (ქართული ენის და ლიტერატურის გაკვეთილი) საკითხის შესწავლას ეძღვნებოდა. ჩვენი კვლევის მიზანი იყო LLD-ის მქონე მოსწავლის სასკოლო სივრცეში იდენტიფიცირება, მისი ენობრივი უნარების შეფასება, შეფასების საფუძველზე შერჩეული ადაპტაციის ხერხების შეთავაზება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის; ასევე, ენობრივი უნარების გაუმჯობესების მიზნით, ინდივიდუალური ინტერვენციის სესიების დაგეგმვა, ჩატარება და მათი ეფექტურობის განსაზღვრა.

კვლევა მოიცავდა ოთხ ფაზას: დიაგნოსტიკური ფაზა, ინტერვენციის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება. კერძოდ, დიაგნოსტირების ფაზა მოიცავდა, იდენტიფიცირებული LLD-ის მქონე მოსწავლის ენობრივი უნარების კითხვარით შეფასებასა და ქარული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე დაკვირვებას. მიღებული მონაცემების საფუძველზე ადაპტაციის ხერხების შემუშავებას, მასწავლებლისთვის შეთავაზებას და ასევე, ინდივიდუალური ინტერვენციების დაგეგმვას. განხორციელების ფაზაზე მოხდა 3 თვის განმავლობაში ადაპტაციის ხერხების გამოყენება და კვირაში ერთხელ, 50-50 წუთიანი ინდივიდუალური ინტერვენციის სესიების ჩატარება. ხოლო, ბოლოს, შეფასების ეტაპზე მასწავლებლისთვის შეთავაზებული ადაპტაციის ხერხებისა და ინდივიდუალური ინტერვენციის სესიების შედეგების შეფასება. პრაქტიკის კვლევამ აჩვენა განსხვავება ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდგომ მიღებულ მონაცემებში. კერძოდ, ადაპტაციის ხერხებმა და ინდივიდუალური ინტერვენციების სესიებმა გააუმჯობესა მოსწავლის ენობრივი უნარები და გაზიარდა მისი ჩართულობა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე. ასევე, გავლენა მიახდინა მოსწავლის ქცევით-ემოციურ მდგომარეობაზე, თვითშეფასებაზე, თავდაჯერებულობაზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ენობრივი სირთულეების მქონე მოსწავლეების,

რაც შეიძლება ადრეული, პრევენცია ან/და სკოლის პროცესში საჭიროებების იდენტიფიკაცია, რათა მოხდეს დროული ინტერვენცია, რაც, საბოლოო ჯამში, შეამცირებს ან აღმოფხვრის სწავლის სირთულეებს.

იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით მშობლების, მასწავლებლების, საბავშვო ბალის აღმზრდელებისთვის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის არ არსებობს რამე სახის ინსტრუმენტი, რომელიც მათ დაეხმარებათ მოსწავლეთა საჭიროების იდენტიფიკაციაში, გადავწყვიტეთ, უახლოეს მომავალში, კვლევის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია, საიდენტიფიკაციო ცხრილი და ინტერვენციისთვის საჭირო აქტივობები სატრენინგო მოდულის სახით შევთავაზოთ ყველა დაინტერესებულ პირს, რომლის მიზნებიცაა:

- ტრენინგის მონაწილეების ინფორმირებულობის დონის გაზრდა LLD-ის შესახებ
- შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა
- შეფასების ინსტრუმენტის პრაქტიკული გამოყენების სწავლება

არსებული ტრენინგ-მოდულის გავლის შემდგომ მონაწილე:

გააცნობიერებს, რამდენად დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ენაზე დაფუძნებულ დასწავლის სირთულეს მოსწავლის წიგნიერების, საკომუნიკაციო უნარებსა და ქცევით-ემოციურ სფეროზე;

1. გაცნობიერებს, რამდენად მნიშვნელოვანია ენობრივი დასწავლის მქონე მოსწავლის რაც შეიძლება ადრეული იდენტიფიკაცია პრევენციისათვის;
2. ისწავლის ენაზე დაფუძნებული დასწავლის სირთულის მახასიათებლებს და იდენტიფიკაციისთვის გამოყენებს ჩეკლისტს;
3. LLD-ის მქონე მოსწავლე ენობრივი უნარების შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით ისწავლის ინტერვენციის გეგმის შედგენას და მის პრაქტიკაში გამოყენებას;
4. გაეცნობა და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს ადაპტაციის ხერხებს ენაზე დაფუძნებული დასწავლის სირთულის მქონე მოსწავლესთან.

ენობრივი სირთულეების მქონე მოსწავლეების, რაც შეიძლება ადრეული პრევენცია ან/და სასწავლო პროცესში საჭიროებების იდენტიფიკაციის

მიზნით „სპეციალური განათლების ასოციაციის ფარგლებში“ შემუშავებულია სატრენინგო მოდული სპეციალური მასწავლებლებისთვის, ბალის აღმზრდელ-პედაგოგებისთვის, საგნის მასწავლებლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირისთვის. სატრენინგო მოდული მიზნად ისახავს სამაგისტრო ნაშრომის საფუძველზე მიღებული შედეგების გაცნობას, ენაზე დაფუძნებული დასწავლის უნარის მქონე მოსწავლის საჭიროების იდენტიფიკაციას (სპეციალურად შემუშავებული საიდენტიფიკაციო კითხვარის გამოყენებით), მოწავლის საჭირო სპეციალისტთან რეფერირებას (დიაგნოსტირების მინზნით), ინტერვენციის დაგეგმვას და განხორციელებას.

მეორე მოდული, რომელიც ასევე „სპეციალური განათლების პედაგოგთა ასოციაციის“ ფარგლებში შეიქმნა და ეფუძნება სამაგისტრო კვლევას არის: „**მეგობართა წრის**“ გავლენა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კლასელებთან სოციალური ინტერაქციის განვითარებაში.

ემპირიული კვლევა ემსახურებოდა ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისა და მისი თანაკლასელების სოციალური ინტერაქციის გაუმჯობესების აღწერას, „მეგობართა წრის“ ინტერვენციის მსვლელობისას. კვლევა აღწერითი ხასიათისაა და მისი დიზაინი მოიცავდა ინტერვენციის მიმდინარეობისას ვიდეო ჩანაწერის შექმნასა და სამიზნე ბავშვის მასწავლებლებისა და მშობლის გამოკითხვას. ვიდეო ჩანაწერები გაანალიზდა სოციალური ინტერაქციის ქცევითი კოდების გამოყენებით. გამოვლინდა დადებითი ცვლილებები სამიზნე მოსწავლის სოციალურ ინტერაქციასა და თანაკლასელებთან გაზრდილი ჩართულობის სახით. კვლევა ხელს უწყობს სისტემურ მიდგომას პრაქტიკული გამოწვევების გადასაჭრელად „მეგობრების წრის“ ინტერვენციის ფარგლებში, სთავაზობს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აძლიერებს სოციალურ ინტერაქციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

წარმოდგეგნილი კვლევით ილუსტრირებულია „მეგობართა წრის“ ინტერვენციის პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებული საკითხები, მოსწავლეთა სოციალური ინტერაქციის გაძლიერებისა და თანატოლების მხრიდან სოციალურად მხარდამჭერი გარემოს შექმნის პერსექტივიდან. ნაშრომში ჩანს ღირებული კავშირი კვლევას, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკასა და ეფექტურ განხორციელებას შორის, ზედამხედველობასთან ერთად, რომელიც წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას თანმიმდევრული განვითარებისთვის.

კვლევაში აღწერილი შემთხვევა სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე მოსწავლეებს დაქმარება სკოლაში სოციალური ურთიერთობის განვითარებაში.

ემპირიული კვლევის მიზანია დაგვანახოს პრაქტიკული გამოწვევების გადაჭრის გზები, გამოიკვლიოს „მეგობართა წრის“ ინტერვენციის ეფექტურობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სოციალური უნარების გაუმჯობესებასა და თანაკლასელებთან მათი პოზიტიური სოციალური ინტერაქციის გაზრდის კუთხით;

შეისწავლოს ინტერვენციის გავლენა სსსმ მოსწავლის თვითაღემაზე, სოციუმში მისდამი გამოჩენილი მეგობრობის ზრდის ფონზე;

დაანახოს სპეციალურ მასწავლებლებს, თუ რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს კვლევაზე დაფუძნებულმა პრაქტიკამ, „მეგობართა წრის“ მსგავსმა ინტერვენციამ როგორც სსსმ მოსწავლეზე, ასევე ინტერვენციაში ჩართულ ტიპური განვითარების ბავშვებზე.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებია განათლების თეორული და მეცნიერული მიდგომები, საქართველოს საგანმანათლებლო რეგულაციები და სსსმ მოსწავლეთა სოციალური ინტერაქციის სირთულეები. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპერიმენტი ეფუძნება „მეგობართა წრის“ ბრიტანულ მოდელს. ფაქტობრივი მასალის ანალიზთან ერთად გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

მოხდა „მეგობართა წრის“ 7 ვიდეოჩანანერზე ანალიზი, გამოყენებული იქნა ქცევითი კოდები, ექსპერიმენტი მიდინარეობდა ხელოვნურად შექმნილ გარემოში, რომელიც მოიცავს ფასილიტატორთა მიერ შერჩეულ აქტივობებს, რომელთაც სუპერვიზიას უწევდა კვლევის ხელმძღვანელი.

კვლევის შედეგებით შეგვიძლია ვთქვათ პასუხი გაეცა საკვლევ კითხვებს: „მეგობართა წრის“ ინტერვენციამ აჩვენა თავისი ეფექტურობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე – სამიზნე ბავშვის სოციალიზაციის ხელშეწყობაში და თანაკლასელებთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარებაში. მტკიცებულებებზე დაფუძნებულმა პრაქტიკამ დაგვანახა, თუ რა როლს ასრულებს არსებული პრობლემის გადაჭრაში კვლევა, რომელიც პრაქტიკაში გვაძლევს საშუალებას დავინახოთ კონკრეტული ცვლილებები, კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაში. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ინტერვენციამ გამოიწვია პოზიტიური ცვლილებები სამიზნე ბავშვის სოციალურ ქცევაში. „მეგობართა წრის“ ინტერვენცია გვთავაზობს პერსპექტიულ მიდგომას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებსა და მათ თანატოლებს შორის სოციალიზაციის, თანაგრძნობისა, მეგობრობისა და პოზიტიური ურთიერთობების ხელ-

შეწყობისთვის. ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობით და თანატოლების გავლენის გამოყენებით, მასწავლებლებსა და ინკლუზიური სასკოლო გარემოს შექმნაში ჩართულ პირებს შეუძლიათ შექმნან დამხმარე კავშირები, რომლებიც აძლიერებენ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების სოციალურ განვითარებას და საერთო საგანმანათლებლო გამოცდილებას.

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნა ტრეინინგ-მოდული „მეგობართა წრე“ – ინტერვენცია. ტრენინგ-მოდული „მეგობართა წრის“ დაწყება გამომდინარეობს ემპირიული მიგნებებიდან, რომლებიც ასაბუთებს სოციალური ინტერვენციების მნიშველოვან როლს საგანმანათლებლო გარემოში. აღნიშნული მოდულის ფარგლებში, ინტერვენციაში ჩართულ სკოლებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სუპერვიზია როგორი ფორმით ხდება „მეგობართა წრის“ ფორმირება, აქტივობების დაგეგმვა თუ მიღებული შედეგების გაზომვა. პირველ ეტაპზე ტრეინინგ-მოდულში ჩართულ მასწავლებლებს, შემდგომში „მეგობართა წრის“ ფასილიტორებს ჩაუტარდებათ ტრეინინგი, რაც დაეხმარებათ სწორად დაგეგმონ და წარმართონ პროცესი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პირადი ასისტენტის მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორები

თინათინ ჩხიკვაძე

სასიპ ქალაქ თბილისის №186 საჯარო სკოლის დირექტორი,
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების
მეცნიერებების მაგისტრი

ინკლუზიური განათლების გამართულად ფუნქციონირება მეტად მნიშვნელოვანია თანასწორი საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად. ხოლო იმისათვის, რომ კონკრეტული სფერო იყოს წარმატებული, მნიშვნელოვანია მასში შემავალი ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალური რესურსები იყოს საკმარისი. **ნაშრომი მიზნად** ისახავს ნათელი მოქმედინოს ინკლუზიური განათლების ადამიანური რესურსის მართვაში არსებულ კონკრეტულ პრობლემებს და განიხილოს ამ ბარიერების გადალახვის პოტენციური სტრატეგიები. ამ გამოწვევების უშუალო გადაჭრით, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ შექმნან ჭეშმარიტად ინკლუზიური სასწავლო გარემო, რომელიც მაქსიმალურად გაზრდის თითოეული მოსწავლის პოტენციალს.

საქართველოში ინკლუზიური განათლება ინერგება 2004 წლიან დღემდე უამრავი ცვლილება განიცადა. 2017-2018 წლებში ამ კონკრეტულ სფეროში გაჩნდა ახალი დამხმარე სპეციალისტის პოზიცია და ეს გახლდათ სსსმ მოსწავლის პირადი ასისტენტი. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში არაერთი ცვლილება განხორციელდა ინკლუზიური განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად საქართველოში თუმცა არსებობს სხვადასხვა ტიპის დაბრკოლებები, რომლებიც სკოლის ადმინისტრაციას, მონდომების მიუხედავად, ხელს უშლის ამ მეტად მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელებაში. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა არის ასისტენტების კვალიფიკაცია, მოტივაცია და რაოდენობა.

თუ დავაკვირდებით სკოლების მიერ ვაკანსიების გამოცხადების სიხშირეს ასისტენტის პოზიციაზე, მარტივად შესამჩნევი იქნება ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე სკოლას რამდენჯერმე უნევს ვაკანსიის განახლება, გარდა ამისა,

სოციალურ ქსელებში სხვადასხვა საგანმანათლებლო ჯგუფებში გამუდმებით იღება ინფორმაციები სკოლების შესახებ, რომლებსაც სჭირდება ასისტენტები, თუმცა მათზე გამოხმაურება არც თუ ისე მაღლალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

კონკრეტული „პრობლემის“ შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ინტენსიურობით გამოირჩევა, ჯერ კიდევ არ არსებობს შესაბამისი კვლევები. მეტიც, ამ ხნის განმავლობაში ფაქტობრივად არც კი დაგეგმილა და განხორციელებულა ასისტენტის კვალიფიკაციისთვის ასამაღლებელი არცერთი ღონისძიება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სსსმ მოსწავლის ასისტენტი, საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და ისინი იცვლება იმის მიხედვით, თუ რა შეხედულებები და მოთხოვნები აქვს სკოლის ადმინისტრაციას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პირადი ასისტენტი, ეს იმ დამხმარე სპეციალისტებიდან ერთ-ერთია, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებაში და მისი არა-საკმარისი კვალიფიკაცია ან/და დაპალი მოტივაცია საგრძნობლად აფერხებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების პროცესების ხარისხიანად წარმართვას.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის სამიზნე ჯგუფები იყვნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე ასისტენტები, სკოლის დირექცია, მასწავლებლები, სსსმ მოსწავლის მშობლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და განათლების ექსპერტები. კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც რომ რესპონდენტები შერჩეული იყო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან. ვინაიდან სამიზნე აუდიტორია მრავალფეროვანია, კვლევის შედეგების ანალიზისას თითოეული პრობლემის შესახებ ყველა სფეროს წარმომადგენლისგან მიღებული ინფორმაციის თანმიმდევრულად გაწერა კიდევ უფრო ნათლად დაგვანახებს არსებულ სურათს. კვლევის პროცესში წარმოჩენილი ძირითადი პრობლემები შეეხება შემდეგ საკითხებს:

- კვალიფიკაციური კადრის წაკლებობა და ერთიანი სტანდარტი
- კარიერული წინსვლის გეგმა
- სსსმ მოსწავლეთა ასისტენტების დანიშნულება
- შრომის ანაზღაურება

საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლის პირადი ასისტენტის პოზიცია განათლების სისტემისთვის და კურძოდ ინკლუზიური განათლების მიმართულებისთვის ამ დრომდე რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად. კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ერთიანი სტანდარტიზებული საკვალიფიკაციოს ჩარჩოს არარსებობა, კარიერული წინსვლის გეგმა, არასათანადო და არასამართლიანი ხელფასი და რაც მთავარია, ასისტენტის უფლება-მოვალეობების ბუნდოვანება, ეს ის ძირითადი პრობლემებია რომლებიც კვლევის შედეგების ანალიზისას იკვეთება.

ამ მცირე კვლევამაც კი ნათლად აჩვენა, თუ რამდენად პრობლემატურია სკოლებისათვის სსსმ მოსწავლე უზრუნველყოს მისთვის საჭირო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სერვისით, რომელსაც პერსონალური ასისტენტის მომსახურება ჰქვია.

პერსონალური ასისტენტი თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია ინკლუზიური განათლების სწორად და ხარისხიანად წარმართვისათვის. ვინაიდან კვლევამ ცხადყო, რომ მას მხოლოდ „ძიძის“ ფუნქცია არ აქვს და იგი თავისი შინაარსით გარდა სსსმ მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და თანატოლებთან წარმატებულ ინტეგრაციას უზრუნველყოფს, აგრეთვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარებაშიც და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სსსმ მოსწავლესთან და თანატოლებთან გატარებული დიდი დროის გამო თავისუფლადაა შესაძლებელი იქცეს საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმისა და სტერეოტიპების დამსხვრევის ერთ-ერთი „ინსტრუმენტად“.

ზემოთხსენებული ფუნქციებისა და დატვირთვის გამო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობდნენ ასისტენტები, რომლებსაც ექნებათ ამ ფუნქციების შესაბამისი კვალიფიკაციები.

კვლევამ ცხადყო, რომ დღეის მდგომარეობით საზოგადოებისთვის კი არა თავად სსსმ მოსწავლის ასისტენტებისთვისაა ბუნდოვანი თუ რა როლი აკისრიათ მათ, შესაბამისად მანამ სანამ თავად არ ექნებათ გააზრებული საკუთარი სამუშაოს მნიშვნელოვნება და როლი ზედმეტია საუბარი მათ გავლენაზე საზოგადოებაში.

ასევე ადსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კარიერული წინსვლის სქემის არარსებობა მნიშვნელოვნად აუფასურებს ასისტენტის პოზიციის არსს. ამ მოცემულობით ეს არის „თანამდებობა“, რომელსაც ოფიციალურად, ფაქტობრივად არ გააჩნია არანაირი დატვირთვა და შესაბამისად ნაკლებია მოლოდინი, რომ სამომავლო წინსვლისთვის რაიმე სარგებლის მომტანი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობს მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სხვადასხვა ტრენინგები, კვლევამ აჩვენა, რომ ასისტენტების მხრიდან დაინტერესება ერთი რომ დაბალია და მეორე სრულებითაც არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია გარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის ბრძანება №16/6-ში მოყვანილი ზოგადი განმარტებისა გაიწეროს სსსმ მოსწავლის პირადი ასისტენტის პოზიციის დეტალური ფუნქციები რათა ეს არ იყოს სკოლის ადმინისტრაციის ან/და მშობლის გადასაწყვეტი. ფუნქცია-მოვალეობების განვითარების შემდეგ გაცილებით მარტივი იქნება პირველ რიგში თავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის შეიმუშაოს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები თუ ტრენინგ კურსები რომლებიც ზუსტად იქნება გამიზნული სსსმ მოსწავლის პირადი ასისტენტის პოზიციისათვის. მას შემდგ რაც ზუსტად გაიწერება ასისტენტთა ფუნქცია-მოვალეობები დაინტერესება მიზნობრივი ტრენინგებით გაცილებით უფრო მაღალია.

რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას მნიშვნელოვანია სახელფასო სისტემა და ანაზღაურების წესი იყოს განვითარების ისე როგორ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სხვა დანარჩენი თანამშრომლების. დაბალი ანაზღაურება და ამასთან გაურკვეველი სისტემა, რომელიც ხშირ შემთხვევაში თავად სკოლის ადმინისტრაციის წევრებისთვისაც კი ბუნდოვანია კიდევ ერთი მიზეზია თუ რატომ შეიძლება არ ჰქონდეს სურვილი კვალიფიციურ კადრს დასაქმდეს აღნიშნულ პოზიციაზე.

მოცემული კვლევის ანალიზისას წამოჭრილი ძირითადი პრობლემები საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას და ცვლილებებს.

მიუხედავად კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემებისა, ზემოთ ხსნებული კვლევა თავისი მასშტაბურობით არ არის საკმარისი საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად. ამიტომ უმჯობესი იქნება თუ ჩატარდება უფრო ფართე მასშტაბიანი კვლევა, რათა უკეთესად იქნას დანახული პრობლემის არსი.

მას შემდეგ რაც ნათლად წარმოჩნდება საჭიროებები აუცილებელია შემუშავდეს და დაინერგოს სხვადასხვა სტრატეგიები იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ასისტენტთა მოტივაციისა და კვალიფიკაციის მაჩვენებლები. მაგალითისთვის სასურველია გაიწეროს კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასისტენტთა კონკურსისათვის, რომელიც თანხვედრაში იქნება ანაზღაურების დონესთან. გარდა ამისა აუცილებლად უნდა შემუშავდეს კარიერული წინსვლისა და განვითარების სქემები ინდივიდუალური ასის-

ტენტებისთვის რათა მათაც ჰქონდეთ საშუალება განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები.

სკოლებისთვის პირველ ეტაპზე აუცილებელია შეთავაზებული იქნას ალტერნატიული წყაროები ასისტენტთა მოსაძიებლად, მაგალითისთვის ასეთი წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა უნივერსიტეტის კონკრეტული მიმართულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომელებსაც სკოლაში ასისტენტად მუშაობა ჩაეთვლებათ პრაქტიკულ კურსად. ამ პრაქტიკის დანერგვით სტუდენტთა დაინტერესებაც გაიზრდება და სწავლა სწავლების ხარისხიც გაცილებით გაუმჯობესდება პრაქტიკის ხარჯზე. ასევე შესაძლებელია სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა გაინეროს იმგვარად, რომ სავალდებულო პრაქტიკის ნაწილს შეადგენდეს სკოლაში სსსმ მოსწავლის ასისტენტის პოზიციაზე მუშაობა. ეს სტრატეგია ერთის მხრივ საშუალებას მისცემს სპეციალური მასწავლებლობის მსურველებს სიღრმისეულად შეისწავლონ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის თავისებურებები და მეორეს მხრივ სავალდებულო პრაქტიკით მომუშავე ასისტენტების არსებობა საგრძნობლად შეამცირებს ფინანსური რესურსის ხარჯებას. და რაც მთავარია აღნიშნული მიღვომა საშუალებას მოგვცემს გარკვეული პერიოდის განმავლობაში გვყავდეს ასისტენტი რომელსაც ექნება შესაბამისი კვალიფიკაციაცა და ცოდნაც.

ასევე, მეტად მნიშვნელოვანია სკოლაში უკვე არსებული ისგ ჯგუფის წევრების ჩართულობა ასისტენტთა მოტივაცია/კვალიფიკაციის ამაღლების პროცესებში. აუცილებელია, საწყის ეტაპზე, სკოლამ კონკრეტული ჯგუფის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოიყენოს შიდა რესურსი. ეს კონკრეტული სტრატეგია, პირველ რიგში, მნიშვნელოვნად დაეხმარება სკოლის ადმინისტრაციას ჯანსაღი თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაში.

რაც შეეხება ანაზღაურებას, პირველ რიგში მნიშვნელოვანია მათი ანაზღაურება არ იყოს მიბმული საშტატო განრიგით გათვალისწინებული საათების რაოდენობაზე. ვინაიდან სკოლებისთვის სირთულეს წარმოადგენს წინასწარ განსაზღვროს რამდენი ასისტენტი და რა საათობრივი დატვირთვის დასჭირდება. ამის შემდგომ უნდა გაიწეროს ანაზღაურების მოქნილი სისტემა, რომელიც სკოლებსაც მისცემს საშუალებას მარტივად დაასაქმონ ასისტენტობის მსურველი და თან ზუსტად იმ საათობრივ დატვირთვაზე რაც რეალურად აქვს.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ მცირე კვლევის შედეგად აღმოჩენილი პრობლემები საჭიროებს კომპლექსურ მიღვომას. საკმაოდ ბევრი ცვლი-

ლებებია შესატანი სსსმ მოსწავლის დამხმარე სპეციალისტების ინსტიტუტში. ამისათვის კი მნიშვნელოვანია ჩატარდეს ფართე მასშტაბიანი კვლევა სხვადასხვა მიმართულებით და აგრეთვე მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებები კონკრეტულ საკითხთან დაკავშრებით რათა სამომავლოდ გამარტივდეს სტრატეგიების გაწერა.

გამოყენებული ლიტერატურა

გაგოშიძე, თ., ჭინჭარაული, თ., ფილაური, ქ. და ბაგრატიონი, მ. (2008). ინ-კლუბიური განათლების პრინციპები. თბილისი. გამომცემლობა „ნეკერი“

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი გვ. 266

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი გვ. 357

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. <https://bit.ly/31KJgGv>
„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილება. <https://bit.ly/31MmGgl>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის ბრძანება №16/6. <https://bit.ly/3uGo5lk>

ბილინგვური განათლება საქართველოში, რა შემთხვევაში შეიძლება იყოს რეფორმა წარმატებული

შალვა ტაბატაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

მოხსენება წარმოადგენს ანალიტიკურ მიმოხილვას საქართველოში ბილინგვური განათლების ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ. მოხსენება ეფუძნება თვისებრივი და რაოდენობრივი მეორეული მონაცემების ანალიზს. ანალიზისთვის გამოყენებულია კოლინ ბეიკერის (2006) ბილინგვური განათლების ეფექტურობის განმსაზღვრელი ანალიტიკური ჩარჩო და ამ ჩარჩოს შესაბამისად საქართველოში არსებული კონტექსტი განხილულია შემდეგი ფაქტორების ჭრილში: (ა) „შემმატებელი“ ან „შემამცირებელი“ კონტექსტი; (ბ) ბილინგვური პროგრამის ტიპი; (გ) სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და ხარისხი/სკოლამდელი და დაწყებითი საფეხურის ინტეგრირება; (დ) სკოლების ხელმძღვანელთა მზაობა ბილინგვური რეფორმის განსახორციელებლად; (ე) სკოლების საკადრო რესურსი; (ვ) სასკოლო თემის მიერ გაზიარებული ხედვა ბილინგვურ განათლებასთან მიმართებაში; (ზ) თემის და მშობელთა ჩართულობა ბილინგვური განათლების პროგრამების განხორციელებაში. აღნიშნული ფაქტორების ანალიზის საფუძველზე ავტორის დასკვნით ბილინგვური განათლების ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები პოზიტიურად არ მოქმედებს საქართველოს კონტექსტში ბილინგვური განათლების რეფორმაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არა ბილინგვური განათლების რეფორმის ხელოვნური ინტენსიფიკაცია, არამედ მისი ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორების პოზიტიური დინამიკისკენ შეცვლა.

ადრეულ ასაკში განათლების უფლების უზრუნველყოფა სკოლამდელო განათლების აღტერნატიული ფორმებით განხორციელების გზით

თეა ძოწენიძე

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
სკოლამდელი განათლების სამმართველო,
გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საგრანტო პროექტის კოორდინატორი;
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

მოხსენება ეხება ადრეული და სკოლამდელი განათლების კრიტიკულ მნიშვნელობას, ხაზსუსვამს განათლების საყოველთაოუფლებას გამონაკლისის გარეშე. ადრეულ ასაკში განათლებაზე ხელმისაწვდომობა ფუნდამენტურ როლს თამაშობს ბავშვის განვითარებასა და მომავალ წარმატებაში. სხვადასხვა ადგილობრივი თემის საჭიროებების მრავალფეროვნების აღი-არებით, მოხსენებაში განხილულია სკოლამდელი განათლების სხვადასხვა აღტერნატიული მოდელები, რომლებიც საერთაშორისოდ აღიარებულია მათი მოქნილობითა და ინკლუზიურობით. ეს მოდელები მოიცავს ოჯახზე დაფუძნებულ საბავშვო ბალებს, მოდულურ საბავშვო ბალებს, ბავშვთა აღმზრდელებსა და სკოლაში დაფუძნებულ ცენტრებს, რომელთაგან თითო-ეული გვთავაზობს უნიკალურ მიდგომებს ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ კონტექსტში.

ერთ-ერთი სამაგალითო პრაქტიკა წარმოდგენილია ონის მუნიციპალიტეტში, სადაც მაღალმთან სოფელში დაარსდა საოჯახზე დაფუძნებული საბავშვო ბალი სოფელში მცხოვრები ერთი ბავშვისთვის, რაც ასახავს განათლების ხელმისაწვდომობის და მოქნილობის მაგალითი შორეულ და მცირემოსახლიან რაიონებშიც კი. ეს მაგალითი ემსახურება მორგებული საგანმანათლებლო მოდელების პოტენციალის ხაზგასმას სწავლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, რათა გეოგრაფიულმა და დემოგრაფიულმა გამოწვევებმა არ შეაფერხონ ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა.

ალტერნატიული მოდელების გაფართოება და მხარდაჭერა განიხილება, როგორც სტრატეგიული მიდგომა სკოლამდელ განათლებაში საყოველთაო ჩართულობის გაზრდის მიზნით. ადგილობრივ საჭიროებებსა და პირობებთან ადაპტირებით, ეს მოდელები ხელს უწყობენ ინკლუზიურ გარემოს, რომელიც შეესაბამება თითოეული ბავშვის უნიკალურ თავისებურებებს. ეს უზრუნველყოფს ადრეული განათლების სისტემების არა მხოლოდ ხელმისაწვდომობას, არამედ რეაგირებას ბავშვების სხვადასხვა განვითარების საჭიროებებზე, რაც საბოლოოდ ჯამში ხელს უწყობს უკეთესი განათლების შედეგებს და სოციალურ თანასწორობას. სკოლამდელი განათლების დივერსიფიცირებული სისტემის განვითარებისთვის ადგილობრივი თუ სახელმწიფო პოლიტიკის შექმნა და განხორციელება განიხილება, როგორც ადრეულ ასაკში განათლების უფლების განხორციელების და მთელი ცხოვრების მანძილზე კეთილდღეობის ხელშემწყობი პირობა ყველა ბავშვის, განურჩევლად წარმომავლობისა, საცხოვრებელი ადგილისა, სოციალური სტატუსისა ან სხვა განსხვავებული მახასიათებლისა.

გამომცემელი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
კრებული დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „ნეკერ“-თან
თანამშრომლობით.

Publisher: East European University (EEU)
Layout and printing by Publishing House “Nekeri”

ISBN 978-9941-501-79-1